645/3
1982



# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

6
1982

# 1 ივნისი – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე



დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი — „პირველი კოცნა“

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

17486

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

„ადამიანის ხასიათის, ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების საწყისები სწორედ ოჯახშია“.

ლ. ი. ბრეჟნევი

# ოჯახი და პოლიტიკური, მოქალაქეობრივი აღზრდა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდა თაობის აღზრდის საკითხებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მითითებათა განხორციელებაში ოჯახს, მშობლებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ. ეს პრობლემა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ხამუშაო. ჯგუფების სერიოზული მსჯელობის საგანი იყო. პარტიის თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიკომებმა, პირველადმა ორგანიზაციებმა გაითვალისწინეს დელეგატთა წინადადებები და რეკომენდაციები ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლების აუცილებლობის შესახებ და ყრილობის შემდეგ კომპლექსურად შეისწავლეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამ მნიშვნელოვან სფეროში საქმის ვითარება. ანალიზმა ცხადყო, რომ ოჯახებთან, მშობლებთან მუშაობა გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად არ მიმდინარეობდა. იგი სათანადოდ არ ითვალისწინებდა ოჯახის როლს ახალგაზრდების პოლიტიკური სახის, პოლიტიკური მრწამსისა და ზნეობის ჩამოყალიბებაში. ნაკლოვანებები გამოვლინდა მშობელთა პედაგოგიური განათლების ორგანიზაციაში, ოჯახურ-ცოლქმრული ურთიერთობისათვის ახალგაზრდობის მომზადებაში. ნაკლებად ისწავლებოდა და გამოიყენებოდა ამ დარგში რესპუბლიკის, ქვეყნის პარტიული ორგანიზაციების დადებითი გამოცდილება; ოჯახებთან, მშობლებთან აღმზრდელობითი მუშაობა ყოველთვის არ უკავშირდებოდა სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას. მშობელთა შორის სუსტი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად ოჯახი, როგორც პირველადი პოლიტიკური, სოციალური უჯრედი, სათანადო ზეგავლენას ვერ ახდენდა ბავშვების იდეურ-პოლიტიკურ ჩამოყალიბებაზე, მათთვის გონივრული მოთხოვნილებებისა და ინტერესების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებში სწორი ორიენტირების უნარის ჩანერგვაზე.

ამავე დროს, ნათქვამია დადგენილებაში, სერიოზული ჩავარდნები იყო მოზარდთა შრომითსა და ზნეობრივ აღზრდაში, პროფესიულ ორიენტაციაში, ოჯახში ყოველთვის არ იყო უზრუნველყოფილი ჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფერო; აღინიშნებოდა შემთხვევები, როდესაც მშობლები უნერგავდნენ შვილებს მაღალ ზნეობრივ პრინციპებს, თავიანთი პირადი ქცევით კი საწინააღმდეგო მაგალითს უჩვენებდნენ. ისეთ მშობელთა შორის, სიტყვისა და საქმის ამგვარი შეუსაბამობა რომ ახასიათებდათ, იყვნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, ზოგჯერ კი ხელმძღვანელი მუშაკებიც.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიკომებმა ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობით შეიმუშავეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია ოჯახის განმტკიცება, მისი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი პოტენციალის, შვილების პოლიტიკურ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში მშობლების პერსონალური პასუხისმგებლობის განუხრელი ამაღლება, დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება. ეს საკითხები რაიკომების ბიუროების,



ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტაქტივის კრებების, პარტიული და საერთო კრებების, სასოფლო ყრილობების მუდმივი ყურადღების საგანი გახდა. რეგულარულად ისმენენ კომუნისტების, კომკავშირელების, ხელმძღვანელი მუშაკების ანგარიშებს მშობლის მოვალეობის შესრულების, მათი შვილების პოლიტიკური სახის, ზნეობრივი თვისებების შესახებ, პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების ანგარიშებს მშობელთა შორის, განსაკუთრებით არეულ ოჯახებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ.

პარტიის ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიკომების მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა, ხაზგასმულია დადგენილებაში, სულ უფრო მრავალმხრივ, კომპლექსურ ხასიათს იძენს. შექმნილია საოჯახო პრობლემების საკოორდინაციო კომისიები. მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აღმზრდელობითი მუშაობის მიკრორაიონების საბჭოების შემადგენლობაში მოქმედებენ საოჯახო პრობლემების სექციები. ჩამოყალიბდა მშობელთა საზოგადოებები, რომლებიც სულ უფრო აქტიურად ებმებიან ოჯახებთან, მშობლებთან მუშაობაში.

ყოველივე ეს პარტიულ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს უფრო ზუსტი კოორდინაცია გაუწიონ ყველა დაინტერესებული დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას ოჯახის იდეურ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი პოტენციალის შემდგომი ამაღლებისათვის, მჭიდროდ დაუკავშირონ აღმზრდელობითი მუშაობა სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას. გეგმაზომიერად ხორციელდება მშრომელთა მიერ მატერიალური დოვლათის მოხმარებისა და მომსახურების დონის ამაღლების, ადამიანთა შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი. გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს საოჯახო მხატვრული თვითშემოქმედების, საოჯახო ტურიზმის განვითარებისათვის, მასობრივ სპორტში მოსახლეობის ფართოდ ჩაბმისათვის.

მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მშობელთა პედაგოგიური სწავლების სისტემას. სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სკოლების მშობელთა კომიტეტების მუშაობას. ეწყობა ღონისძიებები „ორდენი შენს სახლში“, ზეპირი ჟურნალები: „ხუთწლედი და შენი ოჯახი“, „მათ ადიდებს სამშობლო“, რომელთა წყალობით მოზარდები იგებენ უაღრესად საინტერესო ფაქტებს უფროსი თაობის ცხოვრებიდან. თბილისის 133-ე საშუალო სკოლაში იშვა ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ წერითი სამუშაოების მომზადებას თემაზე „ჩემი ოჯახის ბიოგრაფია“, და მოსწავლეები გულისყურით ზრუნავენ საოჯახო მატიანის შექმნისათვის. პრაქტიკულად ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებაში მშობლებისა და შვილების ერთობლივი მონაწილეობა. ზესტაფონის რაიონის საწარმოებსა და მეურნეობებში მამებს, დედებს სკოლებიდან ხშირად მოსდით „მადლობის ფურცლები“ შვილების სამაგალითო აღზრდისათვის; საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები მშრომელთა წარმატებებს რეგულარულად ატყობინებენ სკოლებს, სადაც მათი შვილები სწავლობენ.

მოზარდი თაობის პოლიტიკურ და ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის ამაღლებას ხელი შეუწყო სოციალისტური შეჯიბრების ახალმა ფორმამ „ხუთწლედი ჩემს ოჯახში“, რომელიც ზესტაფონის რაიონში დაინერგა და გარდა შრომითი ვალდებულებებისა, ითვალისწინებს ოჯახის წევრთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების სრულყოფას, მთელი ოჯახის დიდ პასუხისმგებლობას მისი თითოეული წევრის პოლიტიკური და ზნეობრივი სახისათვის.

ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონებში აქტიურად ინერგება ახალი საბჭოთა დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი, პროგრესული საოჯახო ტრადიციები, რომლებიც აღსავსეა მაღალი ზნეობრივი აზრით და განმსჭვალულია დიდი იდეურ-პოლიტიკური შინაარსით. მაგალითად, ფართოდ გავრცელდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ქორწილები, თაობათა ესტაფეტის საზეიმო გადაცემა, ქუჩის ზეიმები, შრომითი დინასტიების, სამაგალითო ოჯახების პატივისცემა. საწარმოებსა და მეურნეობებში იქმნება სპეციალური დარბაზები სადღესასწაულო რიტუალებისათვის, სადაც ეწყობა ქორწინების ცერემონიალი, ახალშობილთა რეგისტრაცია და სახელის დარქმევა, მუშად, კოლმეურნედ კურთხევა, პასპორტის, კომკავშირული ბილეთის გადაცემა.



ყოველივე ეს, როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მოწმობს, დიდ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ოჯახის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს ქმედითუნარიანობაზე, მშობელთა პოლიტიკური და პედაგოგიური კულტურის, ახალგაზრდების სწორი პოლიტიკური, ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ჩამოყალიბებისათვის, ოჯახში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

ამავე დროს დადგენილებაში ნათქვამია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მოითხოვს შემდგომ სრულყოფას, მას კიდევ უფრო კონკრეტულად, კომპლექსურად უნდა მიუდგნენ თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონების პარტიული ორგანიზაციები, თანაც გაითვალისწინონ, რომ ჯერაც ბევრია ფორმალიზმის, პრიმიტივიზმის, ადამიანების პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის ამ მნიშვნელოვანი უბნისადმი ზერელე დამოკიდებულების მაგალითები, რომლებიც გვხვდება პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ცალკეული კოლექტივების, რაიალმასკომების, პარტიის რაიკომების საქმიანობაში.

საკმაოდ დამაჯერებლად და ქმედითად არ მიმდინარეობს მუშაობა საუკეთესო ოჯახების, სანიმუშო მშობლების, ისეთი ოჯახების პოპულარიზაციისათვის, რომლებსაც სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები აქვთ და ღირსეული წვლილი შემატეს სამშობლოს დაცვას; ყოველთვის არ ხორციელდება დიფერენცირებული მიდგომა, სუსტად გამოიყენება როგორც ცალკეულ ოჯახებთან, მშობლებთან, ისე მოზარდებთან, ახალგაზრდებთან ინდივიდუალური მუშაობის ფორმები და მეთოდები. დასახელებულ რაიონებში ჯერ კიდევ ბევრი ოჯახი მიეკუთვნება „არეულთა“ კატეგორიას; ყველა მშობელი სისტემატურად როდი ინტერესდება მოზარდთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციის ჩამოყალიბებით, პიონერულ და კომკავშირულ, საზოგადოებრივ მუშაობაში მათი მონაწილეობით. ისინი ზოგჯერ თვითონვე აქრობენ ახალგაზრდების პატრიოტულ მისწრაფებას — წავიდნენ იქ, სადც უფრო მეტი სიძნელეა, სადაც უფრო მეტად სჭირდება სამშობლოს; ბევრ მშობელს არ შესწევს უნარი ან არ ცდილობს სწორი ობიექტური შეფასება მისცეს მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს. კიდევ მეტიც, ჯერ კიდევ გვხვდებიან მშობლები, რომლებიც სახალხოდ ერთს ამბობენ, ოჯახში, ამხანაგების წრეში კი სრულიად საწინააღმდეგოდ იქცევიან; ხშირად ასეთი პირები ავლენენ მოჩვენებითს ინტერესს სოციალური პრობლემებისადმი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი, თანაზიარობას ყოველივე პოზიტიურისადმი, რაც ჩვენს რესპუბლიკაში, ქვეყანაში კეთდება, ახლობლების გარემოცვაში კი იმეორებენ ობივატელურ მონაჭორებს, რომლებიც ამახინჯებენ მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების აზრს, და ასეთი გაორებულობა მოზარდებში თესავს ეჭვს, ურწმუნობას, ხხვისხ მოიმედეობის შეხედულებებს უნერგავს მათ. ზოგიერთი მშობელი შვილებს ეგოიზმის, ნიჰილიზმის, აპოლიტიკურობის, ცრუპატრიოტიზმის, ეროვნული შეზღუდულობის, ორპირობის, უზნეობის, კერძომესაკუთრული მისწრაფებების მაგალითებს უჩვენებს.

ახალგაზრდების პოლიტიკურ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ზოგიერთი მშობლის მისწრაფება გაემიჯნონ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ჩაიკეტონ პირადი კეთილდღეობის ვიწრო ჩარჩოებში, სადაც ნივთები ჩრდილავენ საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს მთელ მრავალფეროვნებას, იქცევიან ცრუ თვითდამკვიდრების საშუალებად. ასეთი მშობლები ცუდად ასრულებენ კონსტიტუციურ მოვალეობას — მოამზადონ შვილები საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, სამშობლოს დაცვისათვის, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და ყველა საზრუნავისაგან ათავისუფლებენ რა უკვე ზრდადასრულებულ ახალგაზრდებს, თითქოსდა ხელოვნურად ახანგრძლივებენ მათს ბავშვობას, ასეთი პოზიცია ობივატელური პრინციპის აშკარა გამოხატულებაა და ახალგაზრდებში მომხმარებლობის მოთხოვნილებებს, მეშჩანურ ფსიქოლოგიას ავითარებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებისა და თვით ოჯახისათვის სავალალო შედეგებს იწვევს.

ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონებში ცოტა როდია პარტიული ორგანიზაცია, სადაც იშვიათად მსჯელობენ ბავშვების პოლიტიკურ და ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდის, მშობლების, ოჯახის სხვა უფროსი წევრების პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერების, არეულ ოჯახებთან, ძნელად აღსაზრდელი ბავშვების მშობლებთან მუშაობის საკითხებზე სათანადოდ არ გამოიყენება საზოგადოებრივი ზემოქმედების, დარწმუნების მეთოდები და კანონის ძალა, პრინციპულ პოზიციას არ იჩენენ ლოთი მშობლების, ამორალური ყოფაქცევის პირების მიმართ. ძნელად აღსაზრდელი ყმაწვილებისადმი შეფობა ხშირად ფორმალური ხასიათისაა, სერიოზული ნაკლოვანებებია მოსახლეობასთან, ახალგაზრდებთან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იდეურ-აღმზრდელობით, სამხედრო-პატრიოტულ, თავდაცვით-მასობრივ მუშაობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულია სწორედ ძირითადი მიზეზი ზოგიერთ ახალგაზრდაში ჩვენი საზოგადოების მორალური ნორმებისათვის შეუსაბამო თვისებების ჩამოყალიბებისა, ახალგაზრდობის ერთ ნაწილში უდისციპლინობის, ხულიგნობის ფაქტების, დამნაშავეობის გამოვლინებებისა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ოჯახის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი პოტენციალის გაძლიერებისათვის, ოჯახურ ურთიერთობათა განმტკიცებისათვის, ბავშვების იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ აღზრდაში მშობელთა პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის მუშაობის შემდგომი გააქტიურებისა და ამ მუშაობის ერთიან სისტემად ჩამოყალიბების მიზნით პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, საქართველოს პროფსაბჭოსა და კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა იხელმძღვანელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც პარტიისა და სახელმწიფოს დემოგრაფიული პოლიტიკიდან გამომდინარეობს და მთელი ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიიჩნიონ ოჯახისათვის დახმარება მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ყველა ეტაპზე, მოზარდი თაობის პოლიტიკურ და ზნეობრივ ფორმირებაში ოჯახის როლისა და მშობლების პერსონალური პასუხისმგებლობის გაზრდა; სისტემატურად შეისწავლონ და შემოქმედებითად, ადგილობრივ თავისებურებათა შესაბამისად გამოიყენონ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბალტიისპირეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციების მიერ საქმიანობის ამ სფეროში შეძენილი მოწინავე გამოცდილება, დიფერენცირებულად წარმართონ ოჯახებთან, მშობლებთან იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, უზრუნველყონ მისი დიდი პრაქტიკული უკუგება; მშობელთა პედაგოგიური სწავლების სისტემის ფართოდ გაშლისა და სრულყოფის გზით დღენიადაგ აამაღლონ საოჯახო აღზრდის კულტურა; უზრუნველყონ არეულ ოჯახებთან, ძნელად აღსაზრდელ ყმაწვილებთან აღმზრდელობით-პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერება; ყოველ არეულ ოჯახზე, ყოველ ძნელად აღსაზრდელ ყმაწვილზე მოახდინონ განსაკუთრებული აღმზრდელობითი ზეგავლენა მათდამი საშეფო შრომითი კოლექტივებისა, შეფ-დამრიგებლების, საზოგადოებრივი აღმზრდელების მიმაგრების გზით; მკაცრად მოჰკითხონ მშობლებს, რომლებსაც მთლიანად არა აქვთ შეგნებული დიდი პასუხისმგებლობა ბავშვების იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდისათვის; მიაღწიონ, რომ კომუნისტები, კომკავშირელები, განსაკუთრებით ყველა კატეგორიისა და რანგის ხელმძღვანელები, იდეოლოგიური მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები მისაბაძ მაგალითს უჩვენებდნენ თავიანთი ოჯახური და მშობლის მოვალეობათა შესრულებაში თავიანთ შვილებს, უნერგავდნენ კომუნიზმის მშენებლის მაღალ პოლიტიკურ თვისებებს; უზრუნველყონ ოჯახებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მჭიდრო კავშირი სოციალური პრობლემების გადაწყვეტასთან; განაგრძონ მუშაობა მშობლების, განსაკუთრებით მომუშავე ქალების, დედების შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის; უფრო ფართოდ დანერგონ საოჯახო სპორტისა და ტურიზმის ფორმები, განავითარონ საოჯახო მხატვრული თვითმოქმედება; მოზარდი თაობის აღზრდაში უფრო აქტიურად გამოიყენონ სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების მქონე ოჯახების, სამშობლოს დაცვაში ღირსეული წვლილის შემტანი ოჯახების, შრომითი დინასტიების, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა დადებითი გამოცდილება; განავითარონ და გაამდიდრონ პროგრესული საოჯახო ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი, წინა პლანზე დააყენონ მათი იდეურ-ზნეობრივი შინაარსი; ყოველმხრივ წაახალისონ ახალგაზრდა ოჯახების შექმნა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დედობისა და მამობის პრესტიჟის ამაღლებას, ოჯახურ-ცოლქმრული ურთიერთობისათვის ახალგაზრდობის მომზადებას; აქტიურად მიმართონ მრავალშვილიანობის სტიმულირებას, გააძლიერონ დახმარება და ყურადღება მრავალშვილიანი ოჯახებისადმი; საწარმოებსა და მიკრორაიონებში შექმნან საკონსულტაციო პუნქტები, სადისკუსიო კლუბები ოჯახურ-ცოლქმრული ურთიერთობის, ოჯახში ბავშვების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცნობად მიიღო, რომ ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონებში ექსპერიმენტის წესით ინერგება ოჯახებთან და მშობლებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ახალი ფორმები. დასახელებულ პარტიის რაიკომებს დაევალათ განაგრძონ და განავითარონ ამ მიმართულებით მუშაობა, განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება მასში ფორმალიზმის, ზედაპირულობის გამორიცხვისათვის; გააანალიზონ და განაზოგადონ შეძენილი გამოცდილება, ექსპერიმენტების შედეგები კი მოახსენონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა: საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებს, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოამზადონ წინადადებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროს კლასებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ექსპერიმენტის წესით ოჯახურ-ცოლქმრული ურთიერთობისათვის ახალგაზრდობის მომზადების სპეციალური დისციპლინების შემოღების თაობაზე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, პედაგოგიკის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტებს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შესაბამის კათედრებთან ერთად შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებები ოჯახებთან, მშობლებთან მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მეცნიერულ საფუძველზე დაყენებისათვის, აგრეთვე განსაზღვრონ ოჯახის პრობლემების კვლევის მიმართულებანი და თემატიკა; საქართველოს სსრ გამსახკომს, რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნას" — მოამზადონ და გამოსცენ „ბიბლიოთეკა მშობლებისათვის" — ბროშურების სერია ქორწინების, ოჯახის, მრავალშვილიანობის, ოჯახურ-ცოლქმრული ურთიერთობის, ოჯახში ბავშვების პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის პრობლემებზე; საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს — შექმნას დოკუმენტური ფილმები საოჯახო აღზრდის პრობლემებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ცენტრს წინადადება მიეცა შეისწავლოს საზოგადოებრივი აზრი ქორწინების, ოჯახის, ოჯახებთან, მშობლებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, ოჯახში პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის პრობლემებზე და შეიმუშაოს მისი ფორმირების მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები.

საქართველოს მწერალთა კავშირს, ლიტერატურული ჟურნალების რედაქციებს რეკომენდაცია მიეცათ მოაწყონ კონკურსები ოჯახისა და ქორწინების პრობლემებზე მხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების, ჟურნალების, საქართველოს სსრ სახტელერადიოს რედაქციებს დაევალათ შეიმუშაონ ამ დადგენილების მოთხოვნათა იდეოლოგიური უზრუნველყოფის სპეციალური გეგმები; ფართო პროპაგანდა გაუწიონ სამაგალითო ოჯახებისა და მშობლების აღმზრდელობითს გამოცდილებას, საოჯახო ურთიერთობის კულტურას, ოჯახში იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, დემოგრაფიული პოლიტიკის პრობლემების გადაჭრის ფორმებსა და მეთოდებს.

(საქინფორმი)

საკავშირო კომკავშირის
XIX ყრილობის დელეგატი



ასობით ახალი საწარმო, მნიშვნელოვანი წვლილი მელიორაციის სამუშაოებში, წარმატებანი მინდვრების მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის აღმავლობაში — ასეთია ჩვენი ახალგაზრდობის შრომითი ანგარიში კომკავშირის XVIII ყრილობის შემდეგ განვლილ დროში.

ლ. ი. ბრეჟნევი

# მზესუმზირის ყვითელი ბურთები

იმ წელს, დიდი დოლი რომ გაჩაღდა, სიღნაღის რაიონის ფარეხებში, კომკავშირის რაიონული კომიტეტის ინიციატივით ახალგაზრდა მწყემსებს ერთი ვაჟურად გადაცმული ქალიც გაჰყოლია ჭაჭუნის ტერიტორიაზე თეთრად მოდებულ ცხვარში. უყურე ერთი, ახლა რა მოუგონიაო, დედის გასაგონად და საამებლად ბუზღუნებდა იმისი მამა. ისე კი გულში ამართლებდა „თავის ბიჭს“.. ყველას უჩუმრად კი იდარდა, სანამ მხარზე ბატკანმოგდებული ქალის ფოტოსურათი არ მიილო დოლიდან. უფრო ადრე ბიძაშვილებს მხარდამხარობდა ნუკრიანის პურის ყანაში, კომბაინზე შტურვალისტად იდგა. დილაობით თავთუხებისაკენ ამავალ შარას სტვენით მისდევდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი „ქალაბიჭა“, ხორბლის თავთავის თაიგულს შეუკრავდა თავისთავს, შორს მოისროდა კომბაინის სახელურს მოჭიდებული იმ თაიგულს, ავიდოდა თავის დასიცხულ ხომალდზე და ირუჯებოდა მზის ჩასვლამდე. ნუკრიანელი „მათე ბიჭი“... მაშინ ჩვიდმეტისა იყო.

ერთი სურათი ძალიან მიყვარსო, — სამი წლის წინანდელი „ახალგაზრდა კომუნისტი“ გამომიტანა. მაშინ პირველად დაწერეს ლალის ამბავი და პირველად გადაუღეს სურათი გაზეთისათვის. ლამაზად, უფრო ლამაზად მოკრიფე თავთუხებიო, ესეც ახსოვს, ფოტორეპორტიორი რომ ეძახოდა: — ეს რა, შენა ხარ? ფოტოში პატარა, შავი ბიჭი იცინის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი.

ჰო, მაშინ ჩვიდმეტისა იყო.

— ახლა რა მოუგონიაო! — ერთი წლის შემდეგ ისევ იტყვის მამა ვალიკო ოტიაშვილი და თვალებს დაუბრიალებს, როცა შეიტყობს, რომ კოლმეურნეობაში ქალებს „მათე ბიჭი“ შეურქმევიათ ლალისათვის.

კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრებს ეგონათ, სულ მალე ზედ კვალში მიაგდებდა ტრაქტორს და უკან მოუხედავად შინ გაიქცეოდა ბრიგადირი. გულში იცინოდნენ ვასიკო ნადოშვილი, სოსო ოტიაშვილი, გივი და ნოდარ მახოშვილები. მერე ის იყო: კვალის გატანისას გადმონოლილი ცემენტის ბოძს ასწორებდა და ცალი ხელი საჭეს ეკიდა, ისე მოხვდა სახეში უკან გადმოვარდნილი სარი... მთელი თვე დარდობდა პალატაში გამომწყვდეული ყბაგატეხილი ბრიგადირი. „იმ ჩემს ტრაქტორზე არავინ დასვათო“ — დაუწერა დედას. საბანში ჩამალა გაბრაზებული სახე და აცრემლებული თვალები...

მერე ისევ გაზაფხულდა. ისევ მოაჯდა თავის რკინის რაშს. ახლა უკვე ნამდვილ თეთრ ცხენზე ოცნებობს. ოღონდ არ ვიცი, ოჯახში გამხელილი თუ აქვს მორიგი ოინი. ახალთახალი მანქანა აჩუქეს, დეპუტატად აირჩიეს და ახლა ცხენი მომინდომაო, ალბათ ამას იტყვის ვალიკო ოტიაშვილი... შეიძლება, არც თქვას.

...აქ, ამ ადგილას ნუკრიანელების წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპრებს კალოები ჰქონდათ, თვითონ კი ზემოთ, სოფელში ცხოვრობდნენ. პურის სალეწად ჩამოდიოდნენ. მერე ლალის პაპასაც ისე, სხვათაშორის უთქვამს, რალა „სააგარაკოდ“ ვიარო კალოზე, ბარემ ავილო და აქ დავსახლდე, რა იქნებაო. გამოუბამს მამაპაპურ კევრზე თავისი ავლა-დიდება და ჩამოსულა ჯალაბით ნუკრიანში, სამუდამოდ იქ დასახლებულა. იმ კევრით ლალის მამასაც დიდხანს უსარგებლია. დღეს კევრის ხსენებაზე ოტიაშვილების ოჯახში ალტაცებით იღიმებიან, აი, ზუსტად ისე, როგორც ელენე ნატროშვილის პირველი ტრაქტორის ხსენებისას...

შემდეგ ნუკრიანში ორი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა: „ლენინის ანდერძი“ და „პარიზის კომუნა“. გორაკებიან-ფერდობებიანი სოფელი გადააშავა საბოსტნეებმა. სავარგულები მოამრავლეს ნუკრიანელებმა — იწევდნენ ხორბალს, ქერს, მზესუმზირას. 423 ჰექტარი ზვარია „პარიზის კომუნის“ კოლმეურნეობაში. მართალია, შარშან დაისეტყვა ვენახი და მოსავალიც ვერ მოვიდა სოფლის საქებარი; მევენახეობის სამ ბრიგადაში გახურდა შრომა. შვიდმა ტრაქტორმა იწყო ხვნათესვა. სეტყვას თუ ვერაფერი მოუხერხეს, შხამქიმიკატებით შეწამვლა, გოგირდის შეფრქვევა და სასუქის შეტანა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. წამლის გამოტანა და ვაზის ახალი ნერგების ჩაყრაც თვალის დახამხამებაში ხდება.

— ყურძნის წარმოების ზრდის რეზერვი აგროვადების დაცვა და, რა თქმა უნდა, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობააო, მითხრა „პარიზის კომუნის“ თავმჯდომარემ თამაზ ქოქიაშვილმა. ვენახს უვლიან, ქერიც მოჰყავთ, სიმინდიც, მზესუმზირაც და რადგან ჩვენში გლეხკაცი ვენახს შეზიარებია, მინდვრად ქალები ვაჟკაცობენო, ესეც თქვა თავმჯდომარემ.

მერე რა მოხდა? გამოვიდა იმათი სანაქებო ლალი ოტიაშვილი საქართველოს კომკავშირის 32-ე ყრილობაზე და ტრიბუნიდან უთხრა თანასოფლელებს: სერიოზული ნაკლოვანებებია მინდვრად, ზვარში და ფერმაში მომუშავეთა სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაშიო.

კრიტიკა სამართლიანი ხომ იყო-მეთქი? სამართლიანიო, თავი დამიქნია თავმჯდომარემ. აბა, შეხედე, ეს ჩვენი ლალი უსამართლოდ და ტყუილუბრალოდ ხმის ამომღებს ჰგავსო?... არა, არ ჰგავს, იმ ქალს კი ჰგავს, მძიმე სამუშაოს შემდეგ თითებსაც რომ მოუვლის და თმასაც მიხედავს. კვირა დღეს დაჯდება და თეთრი ყვავილების კაბას შეიკერავს. ბევრი ასეთი კაბა აქვს ლალის — ლურჯი და თამბაქოსფერი, თეთრი და ვარდისფერი. მოსკოვისათვის ახალ კაბას იკერავს.

ვაშლის ხეებში შეყუჟულები ვსაუბრობთ მე და ლალი სოფელზე, სოფლის ქალებზე. ხომ არ გაგინაწყენდნენ მეთქი, ვკითხე.

გორაკზე დგას ოტიაშვილების დიდი სახლი და იქიდან კარგად მოჩანს ნუკრიანის კალოები. ლალი მიყვება, რომ მინდვრად გასულ კოლმეურნეთა და საკოლმეურნეო ფერმებში მომუშავეთა უკეთ მომსახურებისათვის სიღნაღის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ ახლად დააკომპლექტა მოძრავი კომპლექსური ბრიგადა. უახლოეს ხანებში სიღნაღის რაიკოოპკავშირი ახალ ავტობუსს მიიღებს და უფრო მოქნილი გახდება დამტარი ვაჭრობა. მინდვრის მარშრუტები უკვე დაუწესეს სამრეწველო საქონლით მოვაჭრე მაღაზიებსაც, რომელთა ასორტიმენტი განუზომლად დიდია. დამტარი ვაჭრობის უკეთ წარმართვისათვის რაიკოოპკავშირის გამგეობამ და პროფრაიკომის პრეზიდიუმმა სოცშეჯიბრება გაშალეს. ვინც თავს ისახელებს, წაახალისებენ მორალურად და მატერიალურად...

აი, ასეთ და... ლალი ვაშლის დიდ ყვავილში ჰყოფს ცხვირს. ფუტკარი აფრინდება სახეზე და ორივე ვიცინით.

ქალი და ტრაქტორიო, ქალი და კომბაინიო, ქალი და მზის გულზე ყანაში თამაშობანაო... ქოთქოთობდნენ ნუკრიანელი ქალები ლიდა ჯანგულაშვილი და ეთერ მახოშვილი, მერე ის იყო: ლუიზა მაზიაშვილმა „მათე ბიჭი“ შეარქვა და... დაწყნარდნენ. ერთხელაც ვასიკო ნადოშვილმა ყვავილებით მოურთო ტრაქტორი და ბიჭებიც დაჩუმდნენ.

ყველა რაღაცით გამოხატავს მადლიერებას, კმაყოფილებას, სიყვარულსაც. ყველაზე უკეთ ლალი ოტიაშვილს შესძლებია გამოხატოს, თუ რა ლამაზია ის, რასაც აკეთებს: მორთავს მზესუმზირის ყვითელი, ფოჩებიანი ბურთებით თავის ტრაქტორს და მირახრახებს ყანაში...

...და როცა სულ პატარა რამეს ან ძალიან დიდ საქმეს ვაკეთებთ, ჩვევად გვაქვს გავიფიქროთ, რატომ, რისთვის ან ვისთვის ვირჯებით. და კარგია, როცა იცი შენი მიზანი. ლალიმაც იცის.

— ყოველთვის მგონია, ვიღაცისთვის სიკეთე მიმაქვს ჩემი ტრაქტორით. შეიძლება, ძალზე უმნიშვნელოა, მაგრამ მეც ხომ ვაკეთებ პატარა რაიმეს? — მკითხა ლალიმ. პასუხი ჩემზე კარგად იცის. ჩემზე კარგად იცის ლალიმ — რა არის ადვილი და რა ძნელი. აღარაფერი მიკითხავს მიზანზე, მომავლის გეგმებზე. ლალის დამ საიდუმლოდ მითხრა: უკვე დამიყოლია, გადავწყვიტე, მეც ტრაქტორზე ვიმუშავოო; ახლა ჩემი სკოლის გოგოებთან უნდა შეხვედრა. ვიცი, იმათაც გადაიბირებსო. და... ტუჩებზე თითი მიიდო, — რა ქნას, სხვანაირი ვერ იქნება ლალი.

იმ დღეს ნუკრიანის კალოებს მზე დაჰყურებდა.

**რუსუდან ნიკურაძე**

## მთვარისა კერესელიძე

### ხოხბის ქადილი

არ ვთმობ ბილიკებს, — ლელიანს
და გზებს, — ეკლებით მოღობილს.
ჩემი დაჭერა ძნელია,
ვარ გარეული ხოჴობი.

სახუნდარიდან მიმიზნებ,
როცა ვგოგმანობ მზეშია.
ჩამისაფრდები ბილიკზე,
ცდილობ, ჩამიგდო ხელშია.

მხრით თოფი გადგიკიდია
და სამიზნეზე გიზივარ,
მაგრამ ქვეყანა დიდია,
ხოხობი მაინც ტყისი ვარ.

ვერ დამჭრა, რაგინდ მიმიზნო,
თუნდაც მესროლო ათასჯერ,
შენი გაწვრთნილი მიმინო,
შეხე, გაბმულა სათანჯოს.

ანდა მესროლე, სიცოცხლემ,
მაინც ვეღარა იდარა.
გადავფრინდები, იცოდე,
გადაგიყოლებ კლდიდანა.

რაც მოგივიდეს ახია,
რას ხეტიალობ ორღობით.
ტყუილად განგიზრახია, —
მოინადირო ხოხობი.

### ოღონდაც ერთხელ...

სულ შენი იყოს დაფნა და ხურო
ოღონდაც ერთხელ,
ო,
ერთხელ სულო,
მე მომიგონე უცხო ფიქრებით
მაშინ, როდესაც მიწა ვიქნები.

### დედას!

რად ვერ გივიწყებ, ასეა, ნეტავ
სად გაქრა სითბო შენი ხელების?
რად დამდევს ყოფნა-არყოფნის სევდა
შესაჩვენები!
საით ვეძებო შენი თვალები,
შენი ალერსი — ოცნება მქრქალი,
რად დაიხურა სახლის კარები,
ან აკლდამაში რად კივის ქარი?!

შენი სიცოცხლე — სიზმარი მკრთალი,
ღმერთო მაღალო! — რისთვის ვილოცე?!
...და კაწრავს წვიმა, თოვლი და ქარი,
შენს ლამაზ სახეს მარმარილოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების"...

არც ისე დიდი ხნის წინათ საქართველოს რომელ კუთხეში უნდა გაგევლო, რომ დაღლილს კაკლის კეთილი ხე არ შეგხვედროდა. მერე რა მასპინძლობა იცის ამ დალოცვილმა! ძირს დაფენილი ჩრდილის რბილ ხალიჩაზე დაგსვამს, დაგასვენებს, სახეზე სიგრილის ცვარსა და ნიავს მოგაყრის, მსხმოიარე ტოტს გამოგიწვდის, რომ შენი მხოლოდ მადლობა დაიტოვოს და დამრგველი დაულოცო.

მერე რა ცოცხალი ფესვი აქვს, რა სიცოცხლისუნარიანია, არ დაიღლება და მიწაში იმდენს ივლის, სანამ სასმელ წყალს არ იპოვის. ალბათ ამიტომ იყო, რომ ქართველი კაცი თუმცა ქუდს მარტო ვაზს უხდიდა, კაკლის დასარგავად მოუცლელიც მოიცლიდა ხოლმე. შემდეგ ვილაცის ახირებამ თუ უსინდისობის სახადმა ლამის მთლიანად გაასახლა საქართველოდან ეს კეთილშობილი ხე — ხან ბირდაბირი უღრენდა, ხან ცული ჰკბენდა და ჰკმეჩდა და შედეგად რა მივიღეთ? სადაც ადრე კაკლის კორომების მწვანე გუმბათი იყო შეკრული, იქ ახლა მხოლოდ ტიტველი და ბერწი მიწა დაგვრჩა, გვალვისგან გათიბული ბალნითა და დასიცხული ზედაპირით. მაგრამ ამ სატკივარს მოენახა წამალი, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ საერთო-ეროვნულ საქმედ გამოაცხადა დუშელი ახალგაზრდობის თაოსნობა; საქართველოს სამხედრო გზაზე სამი ათასი ძირი კაკლის ხის დარგვა. ამ დიდი მამითადის მოწყობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ ეროვნული საქმე უწოდა და ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი. დიახ, ამ ბოლო ათწლეულში საქართველოში რაც გაკეთდა, რიცხვი ვერ იმახსოვრებს, თორემ ჩვენი ერის ისტორია, ჩვენი ხალხის მემატიანე და მომავლის მეკვლე არაფერს დაკარგავს და ასომთავრულით ჩაიწერს მის სახელს, ვინც ერის სინდისი დაბრმავებას გადაარჩინა და ეროვნული ცხოვრების გრძელ უღლეულს გუთნისდედობს.

თბილისში ჯერ კიდევ აულაგებელი ბინდ-ბუნდი დავტოვე, რომ საქართველოს კომკავშირის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ელენე არაბული დავიხელთო, საჭირო ცნობები შევკრიბო. დუშეთში მესამედ ვარ. ახლა დილაა და ამილახვრიანთ სასახლეს მზე ათვალიერებს. რაიკომი ყველა გზამ იცის და არავისთვის მიკითხავს...

ცოტა ხნის შემდეგ ელენე არაბულს ვხვდები, მიკვირს საოცრად ნაცნობი თვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების სხივიც, ჯიუტი ნიკაპიც და ხმის ჩანჩქერიც. მის ყოველ სიტყვაში საქმე დევს, ენთუზიაზმი ანთია. ასე ის ადამიანი ლაპარაკობს, ვისაც ხალხმა თავისი სათქმელი ჩააბარა და ასეც არის — რაიონის ახალგაზრდობის ლიდერი დირიჟორობს ამ კუნთმაგარი ჭაბუკების და ლერწამივით მსუბუქი ქალიშვილების ცხოვრებას. რაიკომის მდივანი ყველასთან არის, ყველას თვალის სარკეში იყურება. პარტიისათვის მიცემული სიტყვაც ამ სათავიდან მოდის.

— ჩვენს თაოსნობას, — ამბობს მდივანი, — წინ სხვა მიზანიც უდევს, — ამით ჩვენს წვლილსაც შევიტანთ გიორგიევსკის ტრაქტატის მეორასე წლისთავის აღნიშვნაში. დაე, საქართველოს სამხედრო გზის მგზავრმა, ჩვენი ხელით დარგული კაკლების ჩრდილი ძირს დაიგოს და დაისვენოს, თბილისისკენ გამოაცილონ სტუმარი ფოთლების ტაშით, მსუბუქი ნიავით გააგრილონ, წინ სიხარული დაახვედრონ! განა ეს პატარა საქმეა? რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მოგვიწონა ჩანაფიქრი, დიდ დახმარებასაც გვერდით ამოგიყენებთო — შეგვპირდა და, როგორც იტყვიან, წილი ნაყარია. დარწმუნებული ბრძანდებოდეს ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე, ქართველი ხალხი, რომ ჩვენი სიტყვა ადგილზე არ იტკეპნება, გამწევია და გამტანი, უკან სირცხვილნაჭამი არ დაგვიბრუნდება...

როდესაც დიდი საქმე იწყება, ენთუზიაზმიც ფეხზე დგას. სატყეო მეურნეობის სამინისტრომ უხვი დახმარება გაუწია რაიონს, სატყეო მეურნეობიდან ხუთი ათასი თამამი ნერგი გამოუყო ახალგაზრდებს.

კაკლის ხეს ისტორია შემოუძლვა საქართველოში და მას შემდეგ, რაც ეს ბერძენი ჩვენს ქვეყანაში დასახლდა, იგიც ებრძოდა ათას ბარბაროსს, მარტვილივით იწვოდა ცეცხლში და ნავლი ქარს მიჰქონდა. შემოკრულ ცულსაც არ ახსოვს მისი კვნესა, ასე უცხოვრია და ასე მოვიდა დღემდე. მისი კეთილშობილი მერქანიც საოცარ სილამაზეს ინახავს — კაკლის ხისგან გამოთლილ აივნის რიკულებს თვალს ვერ ააცლიდი. მისი მსუბუქი ფიცრით შეკრული ოდა სოფელს ამშვენებდა. ამ კეთილ ხეს საიდუმლო აღარ დარჩა, ქართველისთვის რომ არ ეთქვა. ამიტომ შეიყვარა ჩვენმა ხალხმა და დღესაც ამიტომ ვუდგევართ პატრონად. სპეციალისტ მეტყევეთა ტერმინოლოგიით კაკლის ხეს ორი დანიშნულება აქვს — სამრეწველო და სამერქნე. პირველი — ნაყოფის დამუშავება-გამოყენებას გულისხმობს, მეორეს კი უფრო მისიკანი და სხეული აინტერესებს.

სიხარულმა სკამზე აღარ დამსვა, როცა სამინისტროში მითხრეს, რომ სატყეო მეურნეობას დუშეთში ხუთ ჰექტარზე გაუშენებია კაკლის ნარგავები — უნდა ნახოთ, როგორები გახდნენ, როგორ დალაღდნენ, ტანი როგორ აიყარეს, როგორი ღირსებით შრიალებენ, — მეუბნება ტყის აღდგენისა და კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ტრისტან ჩერქეზიშვილი და ფართოდ იღიმება, — სიტყვა ერთი აქვს და საქმე ათასი დუშეთის სატყეო მეურნეობას, არც წინა წლებში ვყოფილვართ ნაცარქექიები — 1974-1980 წლებში 19 ჰექტარზე გადავჭიმეთ კაკლის პლანტაციები, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ უამრავია.

— ერთი სატკივარიც უნდა გაგანდოთ — მეუბნება ზურაბ ხავთაძე, — ეს კაცი ტყის დაცვის განყოფილებას ხელმძღვანელობს და ლამის წინდაწინ ვიცი, რა უნდა თქვას, — დიახ, სწორი ბრძანდებით, — იცინის ხავთაძე — კაკლის მურაბა ბევრს უყვარს, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, რომ ზოგიერთები „სამურაბე ლაშქრობებს“ აწყობენ მსხმოიარე კაკლების წინააღმდეგ — ტოტებს ლეწენ, კეტით სცემენ, ქვას უშენენ... მერე მიდიან და რჩება გაძარცული, გალანძღული კაკლის ხე შეუხვეველი ჭრილობებით.

რაღა უნდა მეთქვა, ან შენ რას იტყვი, მკითხველო?!

ვაი რომ, ზოგ ჩვენიანს ჯერ კიდევ სჭირდება შეგონება და მწარე სახრე!

დუშელი ახალგაზრდობის ინიციატივა ქმედითი პატრიოტიზმის ნათელი გამოვლენაა. ამაზე იტყოდა დიდი რუსთაველი: „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილიო“. როგორ არ ჰგავს ეს ყველაფერი ზოგის მცონარე პატრიოტიზმს, სამშობლოს სიყვარული საქმესთან გაბუტული სიტყვა, ბრჭყვიალა თვითრეკლამა და მსუბუქი საპალნე რომ ჰგონია. სწორედ ამიტომ, დუშელთა მაგალითმა უნდა დაიაროს მთელი საქართველო, რათა კაკალმა იმერეთშიც მიგვიპატიჟოს, სამეგრელოშიც, გურიაშიც და ლეჩხუმშიც... ვფიქრობ, აქ უთქმელ-უწერლადაც ასე იქნება, რადგან ჩვენს ახალგაზრდობას შემოქმედებითი შრომის, გამწევი საქმის უნარიც შესწევს, ნიჭი — პატიოსანიც და გაუცვეთელი მონდომებაც.

დუშელმა ახალგაზრდებმა რესპუბლიკისთვის მიცემულ სიტყვას უკვე ამოუყენეს საქმე გვერდით. როგორც ელენე არაბულმა მითხრა, სკოლებში პატარა სანერგეები გაჩნდა, პატარა ხელებით მოვლილი, მაგრამ დიდი საქმისთვის გამიზნული. სწორედ ასეთი ენთუზიაზმი, დასახული მიზნისკენ ასეთი სწრაფვა არის ყოველგვარი წარმატების კეთილი დედა და შეუმცდარი მეგზური.

**ჯემალ აფციაური**

კოსტა მარგიევი

## ქალიშვილები თივის ხვეტაზე

თივას ხვეტენ ლამაზები
ქალაქიდან წვეულნი,
მხოლოდ ცოტა მზე აწუხებთ
— არ არიან ჩვეულნი!

ამიტომაც იჩრდილებენ
სახეს თეთრი ქუდებით,
სილამაზევ ქალაქურო,
შენ ნუ გაუხუნდები!
ჰე, სოფლელო მთიბველებო,
რა ცერად იყურებით,
თქვენი საქმე ცელი არის.
ჯანის დამაპურები.
გაიტანეთ ფართო სვრელი,
ხასიათით უტეხით,
ბარაქიან შემოდგომას
წინ თქვენ შემოუძეხით!
მხოლოდ მაშინ მოგხედავენ
ქალაქელი ქალები,
მანამდე კი მათ გულისთქმას
თქვენ ნუ დაეძალებით.
მაშ მოუსვით, რა დროხია
აწ ფიქრი ან დარდები,
ქალაქელი ლამაზების
უბაში ნუ ჩავარდებით.
შემოსძახეთ სიმღერები,
ჩვენებური, მთიბლური
კაცი, ქალი, მთა და ველი
რომ დარჩნენ მოხიბლულნი,
რომ მძლავრ ექოს გამოსცემდნენ
მთები ამართულები
და ქალებსაც უთრთოლავდეთ
საგულეში გულები.

თარგმანი ბ. ხარანაულისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვთა რესპუბლიკური აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფო — რეაბილიტაციის ცენტრი



ამ დიდ, ნათელსა და ლამაზ სახლში მათ უმაღლესობას — ბავშვებს დაუდევთ ბინა. ნორჩების აღზრდა-ჯანმრთელობა ჩვენი საზოგადოების მუდმივი საზრუნავია, რამეთუ ყველა ადამიანი „თავისი ბავშვობიდან მოდის“, რამეთუ ჯანსალი და ბედნიერი ბავშვობა მშვიდი სიბერის საწინდარია.

ამ დიდ, ნათელსა და ლამაზ სახლში ბავშვთა რესპუბლიკური აღდგენითი სამკურნალო-საავადმყოფო — რეაბილიტაციის ცენტრია განლაგებული.

მეგზურობას გვიწევენ ცენტრის დირექტორი — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ ჟორჟოლაძე და მისი მოადგილე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გულნარა გვილავა. გზადაგზა ვსაუბრობთ:

— ამ სამკურნალო დაწესებულების შექმნის იდეა ჯერ კიდევ 1973 წელს ჩაისახა, — გვიყვება დირექტორი, — მაგრამ მრავალი ბრძოლის გადახდა დაგვჭირდა, ვიდრე მიზანს მივაღწევდით.



ეზოში ვართ. ნამდვილი „ბარსკაია უსადბაა“, ამბობს რომელიღაცა ჩვენგანი, — რატომ არა, აკი უკვე ვთქვით მათი უმაღლესობა — ბავშვები ბატონობენო აქ. ეზო დიდია, მრავალწლიან ატყორცნილ ხეებშორის მზე უხვად აღწევს და ლამაზად მოპირკეთებულ აუზების წყალს ნაირფრად ალიცლიცებს. იქმნება სრული კომფორტის, უზრუნველყოფის განწყობილება; არ გინდა დაიჯერო, რომ ის 8-9 წლის გოგონები ახლა რომ საავადმყოფოს ცენტრალური შენობიდან ხელიხელჩაკიდებულნი გამოვიდნენ და მწყობრად საპროცედურო ფლიგელისაკენ გაეშურნენ, ავადმყოფები არიან, არ გჯერა რადგან ცალი თვალი ჩვენსკენ უჭირავთ და ტუჩებს მაგრად კუმავენ, არ გაგვეცინოსო, მაგრამ ცოტაც და ნებისყოფა უმტყუნებთ. ასეც ხდება, ჩვენს მოალერსე, მომღიმარ მზერას იჭერენ და კისკისით შერბიან სამასაჟო ოთახებში. ფეხდაფეხ მივყვებით. აქაც დიდი და ლამაზი აუზია, სავსე გოგირდის თბილი წყლით. კედელი — პანო, რომელიც წყლის ბინადართ დაუფარავთ, ზღვისა და აქვარიუმის ასოციაციებს იწვევს. აქ მოსული ბავშვი კარგადაც გაერთობა და პროცედურასაც სიამოვნებით გაიკეთებს. გვერდით ოთახებში სამკურნალო ვარჯიში და მასაჟი ტარდება, სარდაფი ტალახით სამკურნალო საპროცედუროსათვის დაუთმიათ, მკურნალობენ პრიმიტულად, უაპარატუროდ. ასე უფრო ეფექტური მკურნალობააო, გვიხსნიან მასპინძლები. თუ მათ სიტყვას ვერწმუნებით ახტალის ტალახი ვულკანური წარმოშობისაა და ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

სარეაბილიტაციო ცენტრში მკურნალობა სამპროფილიანია: ფსიქო-ნევროლოგიურ განყოფილებაში ათავსებენ ბავშვებს, რომელთაც დაზიანებული აქვთ ცენტრალური ნერვული სისტემა — საყრდენმამოძრავებელი აპარატი, მიღებული აქვთ სამშობიარო ტრავმა; ორთოპედიულ განყოფილებაში აწვენენ პატარა პაციენტებს ორგანიზმის თანდაყოლილი-გენეტიკური ან შეძენილი ფიზიკური დეფექტით: (სკოლიოზი, მრგვალი ზურგი, მენჯბარძაყის ამოვარდნილობა, რაქიტის ნარჩენი მოვლენები). ალერგიულ განყოფილებაში მკურნალობენ სხვადასხვა ალერგიით დაავადებულთ, — ბრონქიალური ასტმა, ალერგიული დერმატოზები და ა. შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის ალერგიული ცენტრი ამ განყოფილების ბაზაზე მუშაობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვათვალიერებთ სამამულო და საზღვარგარეთულ აპარატურით აღჭურვილ სადიაგნოსტიკო, სოციოლოგიურ, სამკურნალო ფიზკულტურის, ფიზიო-თერაპიის, ბანლეოლოგიურ და სხვა კაბინეტებს. ვერ ვმალავთ იმ სასიამოვნო ემოციებს, რომლებიც წამდაუწუმ გვეუფლება. სუფთა სასადილო, ლამაზად გაფორმებულ-მოხატული კედლები, ვიტრაჟები და სტენდები, ფანჯრებზე მოფრიალე ქათქათა ფარდები...

საავადმყოფოს სასწავლო ოთახებში შევდივართ. დიახ, ნამდვილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა გახლავთ აქ. ჰყავთ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, აქვთ მერხები, დაფები, თვალსაჩინოებანი, შრომა თერაპიის კაბინეტები. ზედასართულზე კლუბია, აქ პატარებს მხატვრულ ფილმებს უჩვენებენ, ექიმებს კი — მეცნიერულს; აქვე ეწყობა ე. წ. 5 წუთიანი თათბირი, „ხუთწუთიანზე“ რომელილაცას ელიმება, ეტყობა ხუთი წუთი ხშირად საათებად ექცევათ ხოლმე. არც არის გასაკვირი. ბევრი პრობლემაა დაგროვილი და გადასაწყვეტი. აი, თუნდაც, დედის შვილთან დარჩენის საკითხი, რომელიც დედის სასარგებლოდ გადაუწყვეტიათ; ახლა პაწია ლოგინს დედის დიდი საწოლი უდგას გვერდით. რამდენად სწორია ეს, კვლავ სადაოდ რჩება, მაგრამ დედა რომ შვილისთვის ბევრ წამალს სჯობია, არც ეს უნდა იყოს სადაო. ოღონდ ეს არის, ამ ერთი შეხედვით იოლ ამბავს (რა მოხდა დედა შვილთან დარჩესო), ბევრი სირთულე ახლავს, რომელსაც გვჯერა საავადმყოფოს დირექცია წარმატებით გაართმევს თავს.





გულნარა გვილავა პაციენტებთან



ყველაზე მთავარ პრობლემად მაინც ახალშობილთა ტრავმები და თანდაყოლილი გენეტიკური მანკების პროფილაქტიკა — თავიდან აცილება გვესახება. ბრძენს უთქვამს: ბავშვის აღზრდა მისი ჩასახვის დღიდან იწყებაო, ადამიანი სულ უფრო რწმუნდება ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში. თავიდან რომ ავიცილოთ გენეტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა







და სამშობიარო მანქები, ალბათ ერთ უწყვეტ ჯაჭვად უნდა შეიკრას იმ სამკურნალო დაწესებულებათა და ექიმთა რიცხვი, რომელნიც პაწიას ჩასახვის დღიდან გარს არტყია, მათი ურთიერთ კავშირი და მჭიდრო თანამშრომლობა, აი ჯანსალი თაობის მტკიცე გარანტია!

დედა ისეთი დიდი სულიერი და ფიზიკური ტანჯვით შობს შვილს, რომ მისი დასახიჩრება უზენაეს დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამ პრობლემაზე ფიქრობენ სერიოზულად ბავშვთა დაავადების სარეაბილიტაციო ცენტრში, სადაც ნამდვილად ყველა ობიექტური პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მკურნალობა მაღალ დონეზე იდგეს. ამის იმედს ის მაღალკვალიფიციური კადრებიც ქმნიან, რომლებითაც ეს დაწესებულებაა დაკომპლექტებული. მაგრამ, ჯერჯერობით, ყოველივე ეს მხოლოდ სასურველი პროგნოზებია. საავადმყოფო მხოლოდ წელიწადნახევარია შეუდგა მუშაობას და გარკვეულ შედეგზე ალბათ მომავალში, 2-3 წლის შემდეგ ვისაუბრებთ.

თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, მაღალი, ნათელი და ლამაზი შენობა ბავშვების ხმებით არის სავსე, როგორ არ გვინდა, ამ ხმებში სევდიანი ნოტები შევიცნოთ!

ნ. სიმონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძენი კნეართი



გაჭირვებაში იზრდებოდნენ. მჭადი არ ჰქონდა უკაცო ოჯახს. ოთხი შვილის დედა ყოველ დილას რაღაცის იმედით აღებდა და კეტავდა ოდის კარს სამეგრელოს სოფელ სერგიეთში, ჭუბაბრიების ეზოში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ახალი დამყარებული იყო. ლენამ შვიდი კლასი დაამთავრა. როდემდე ვუყუროთ მშივრებმა ჩვენს კარმიდამოს, გამონგრეულ ღობეს, ნაქცეულ საღორეს, მეზობელთა საკვამურებს, მესრებზე გადმოფენილ დაკერებულ ჭრელა-ჭრულა საბნებს? ავდგეთ, წავიდეთ ქალაქში, თავს ვუშველოთო, — თქვეს ობლებმა და თბილისში, ვერის ხიდთან ამოშენებულ მიწურს შეაფარეს თავი. მტკვარი რომ ადიდდებოდა, შიშით გული უსკდებოდათ, წყალი არ შემოგვივარდეს მიწიან სადგომშიო. ღამით მორიგეობით იძინებდნენ, რომ წყალდიდობისას თავისთვის ეშველნათ.

პედაგოგიურ ტექნიკუმში რომ სწავლობდა, ლენა ცდილობდა დაეფარა სიღარიბე, მაგრამ ვერ ახერხებდა. სტიპენდია ოცდაათად ჰქონდა გაყოფილი და იცოდა, რამდენი უნდა დაეხარჯა დღეში, მაგრამ ზოგჯერ და-ძმებისათვის გადასცდებოდა ხოლმე ფული და მეორე დღეს საუზმეზე ხელს იღებდა. ტექნიკუმში გრძნობდნენ ამას, კეთილ ადამიანებს დახმარება ენადათ.

ერთ დღეს მებუფეტემ დირექტორისგან განკარგულება მიიღო ლენას უფასოდ აჭამეო. შუადღისას ლენა მორიდებული შევიდა სასაუზმეში, შაურიანი ფუნთუშა და რძე მოითხოვა. დაჯდა და მიირთვა. ფული რომ არ გამოართვეს, სირცხვილისაგან დაიწვა, ხურდა იქვე დაყარა და იმ დღიდან ბუფეტს აღარ გაჰკარებია.

თექვსმეტი წლისამ ტექნიკუმი დაამთავრა, ჩინებული სწავლითა და კომკავშირული მუშაობით გამოირჩეოდა, ნამდვილად კარგი პედაგოგი იქნებოდა, როცა მშობლიურ სოფელს, დაწყებით სკოლას დაუბრუნდებოდა, მაგრამ...

გარეგნობით თვითონ ჰგავდა მოწაფეს, გამხდარი და გალეული იყო და ვერ გადაეწყვიტათ მასწავლებლად მისი გაგზავნა.

— გამიშვით ჩემს სოფელში და დაგიმტკიცებთ, რომ შემიძლია მუშაობა!

გოგონას ცრემლებს ველარ გაექცნენ.

სერგიეთში იმავე ბოხჩით ჩამოვიდა, რომლითაც წავიდა. ოდის კარი გამოაღო და ნესტის სუნი ეცა.

30-იანი წლების დასაწყისია. მესამე კლასის მასწავლებლად სერგიეთის საშუალო სკოლაში 16 წლის ლენა ჭუბაბრია მოვიდა.

კოლმეურნეობა ის იყო ყალიბდებოდა. ხალხი ძნელად შედიოდა კოლექტივში. უღარიბესი გლეხები აქტიურობდნენ, უფრო შეძლებულნი უკან იხევდნენ. აი, მაშინ დაიწყო პირველი პროპაგანდისტული მუშაობა ლენამ. დადიოდა ოჯახებში, კოლექტივის სიკეთეში არწმუნებდა გლეხობას, დედის ამბავს უყვებოდა, რომელმაც ულელი ხარი, ურემი და მიწა სიხარულით გადასცა კოლექტივს. თბილისიდან ახალჩამოსული პედაგოგი გლეხების გასაცნობიერებლად ხელნაწერ საველე გაზეთს უშვებდა.

მოახლოვდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნები. სააგიტაციო მუშაობა მასწავლებლებს ჰქონდათ მინდობილი. ლენა სერგიეთიდან კილომეტრებს ფეხით გადიოდა და ყოველ დილას ნახუნაოს სკოლის კარს აღებდა. საღამოობით ნათხოვარ ბინაში ქალები ელოდნენ, ლენა მასწავლებელი მათ ჭრაქის შუქზე ანბანის პირველ ასოებს აწერინებდა. არჩევნებისათვის მზადება ნახუნაოს წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლიდან დაიწყო და მთელ სოფელში გავრცელდა. ხანშიშესული მოწაფე ქალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი მასწავლებელთან ერთად ამზადებდნენ სოფელს არჩევნებისთვის.

1939 წელი. ლენა უმაღლესი განათლების მიღებას აპირებს, ტოვებს სამეგრელოს და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ეწყობა ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

დიდი სამამულო ომი დაიწყო. მძიმე გაჭირვების წლებია. ლენა პროპაგანდისტია გორის მოსახლეობაში. ბევრი ამანათი გაგზავნა ფრონტზე. მადლობის წერილები მიიღო ცეცხლის ხაზიდან. ცხოვრება ჭირს. ლენა მასწავლებლად ეწყობა გორის საშუალო სკოლაში, ომის ამბებს, ჩვენი ჯარების წინსვლას გატაცებით აცნობს სკოლის პედაგოგებს, სწავლას აგრძელებს.

მალე ლენა ჭუბაბრია ფილოლოგის დიპლომით უბრუნდება სერგიეთის საშუალო სკოლას.

მოსწავლეები დილით ილია ჭავჭავაძის „აჩრდილს" ისმენენ, გაკვეთილების შემდეგ კი მთელი სკოლა მინდორშია და მოსავლისათვის იბრძვის. და აქაც დიდია კეთილი, მართალი, პარტიული სიტყვის ძალა, ლენა კვლავ პროპაგანდისტია, დიდ სულიერ საზრდოს აძლევს სკოლის კოლექტივს.

რაიონულმა ხელმძღვანელობამ ლენა ჭუბაბრია გეგეჭკორის ბავშვთა სახლის სასწავლო ნაწილის გამგედ გადაიყვანა. ბავშვები მას გალატაკებულნი, სწავლაზე გულაცრუებულნი დახვდნენ. დიდი პედაგოგიური მიდგომა, სიმკაცრე და მომთხოვნელობა იყო საჭირო, რომ არ ექურდათ, ბავშვის ლუკმა არ მიეთვისებინათ. მალე გახალისდნენ ბავშვები, ჩაიცვეს, დაიხურეს, კარგად ჭამეს, სწავლაში დაწინაურდნენ.

ოც წელზე მეტია ლენა გეგეჭკორის პირველ საშუალო სკოლაში მუშაობს. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები იზიდავს ბავშვებს, სიახლით, ძიებით, ნიჭიერებით სავსე გაკვეთილები. მათ უყვართ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, შრომის ვეტერანი.

ოც წელზე მეტია სკოლის უცვლელი პროპაგანდისტია ლენა ჭუბაბრია. უმაღლესი რგოლის მსმენელთა არცერთი მეცადინეობა არა ჰგავს ერთმანეთს. ამ დღისათვის ლენა ისე ემზადება, თითქოს გაკვეთილზე შედიოდეს. ლენინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განათლების, აღზრდის და სწავლების შესახებ, — ასეთია მათი სამუშაო თემა. საკითხებს დაანაწილებს, დამხმარე ლიტერატურას დაასახელებს და ყველა მეცადინეობას სადღეისო ამოცანებით, ჩვენი ქვეყნის დიდი მოვლენებით, საშინაო და საგარეო პოლიტიკით იწყებს.

მისი ცხოვრება გრძელ აღმართს ჰგავს, რომელზეც შეუსვენებლად მიდის, ზოგჯერ ქვას წამოჰკრავს ფეხს, ზოგჯერ ხის ქვეშ ისვენებს, მაგრამ გზას მაინც აგრძელებს...

ლია ნინიძე

მანანა აბრამიშვილი ჩვენი ნორჩი მხატვრის — რუსუდან ფეტვიაშვილის დედაა; მამა — მოქანდაკე, დედა — ლექსების ტრფიალი, ასე რომ რუსუდანის ნახატებს, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, — სათავე საკუთარ, შემოქმედებით გაცისკროვნებულ ოჯახში უდევს.

გთავაზობთ მანანა აბრამიშვილის ლექსს.



## მანანა აბრამიშვილი

* * *

ქარმა შემოგლიჯა კარი დაგმანული,
სარკმელი დახშული,
და შინ შემოიჭრა
ქარი ფრთასული.
თვალებში ჩამძახა:
ვარ გაზაფხული!
და სულსა შენსა
ვარ დანატრული.
სული მომეცი,
ჰეი, გავიფრენ!
ღრუბელსა და მზეს
ფრთაზე დავიფენ.
გაზაფხულო, უხმე ქარსა შენსა,
სული ჩემი ვერ გაჰყვება ვერსად,
სული ჩემი კერას
უდგას ფესვად.

ქარო, ვინა ხარ,
რომელ მხარისა,
დასავლეთის თუ აღმოსავლისა,
უნდა ავაგო მაღალი ზღუდე,
რომ შეალეწო მრისხანე ფრთები,
არ დამიშალო გამთბარი ბუდე,
არ დამიფანტო ჩემი ბარტყები.

სევდა მოვიდა, სევდა,
სული მოაწყდა თვალებს,
იკმარე შენი სვე და
ქარი არ მოვა ხვალე.

კერას უზის ხუთი ბავშვი,
სული კერას მინთია,
ნაპერწკლებად ითვლიან,
ქარები რას მითვლიან.
მოდით, მოდით ბავშვებო,
ჩემებო და სხვისებო,
სახლო, ჭერი ასწიე,
ჭერო, ფრთებით ივსები!

ქარო, გამეცალე, თვალს ნუ მისევდავ,
ქარო, უბე-უბე ბარტყები მისხედან,
კალთაში მიწყვია მწიფე მტევნები,
ქარო, ღრუბელ-ღრუბელ ვერ დაგედევნები...



რუსუდან ვახტანგის ასული ფეტვიაშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1968 წლის 25 იანვარს.

დედა ფილოლოგია, მამა — მოქანდაკე. ჰყავს ოთხი და-ძმა; წარჩინებით სწავლობს თბილისის 125-ე საშუალო სკოლის VII კლასში და სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს განყოფილებაზე.

რუსუდანმა ხატვა ორი წლისამ დაიწყო. თავდაპირველად ფანქრითა და ფლომასტერით, ახლა კი ფუნჯით, ტუშით და აკვარელით ხატავს.

თბილისში 1974 წ. ბავშვთა ხელოვნების მუზეუმში მოეწყო რუსუდან ფეტვიაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა. ამის შემდეგ მისი გამოფენები მოეწყო: 1976 წელს მოსკოვში, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" რედაქციაში, 1977 წელს — მეგობრობის სახლში; 1981 წელს — საქართველოს სსრ წარმომადგენლობის სახლში.

რუსუდანი ჩვენი გამოფენების მუდმივი მონაწილეა.



„გაქცევა"

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„შეხვედრა"

# ფეტვიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რუსუდან

„მბრძანებელი"





„ხსნა“



„ურჩხულზე ამხედრებული“

5 სექტემბერი
1979წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ხალიდა გასილოვა,
ჟურნალ „აზერბაიჯან გადინის“ მთავარი რედაქტორი.

# ძმურ ოჯახში

აღსრულდა აზერბაიჯანელი ხალხის საუკუნოვანი ოცნება ბედნიერებაზე, თავისუფალ ცხოვრებაზე, გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. მას შემდეგ ჩვენი რესპუბლიკა მოძმე ერების ძმურ ოჯახში ვითარდება.

თერთმეტი წელია, აზერბაიჯანი ზედიზედ იღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას. რესპუბლიკის წითელ დროშაზე დაბნეული ხუთი ორდენიდან სამი — ლენინის ორდენია.

საბჭოთა აზერბაიჯანის მიღწევებში დიდი წვლილი მიუძღვით ქალებს — საწარმოო, სამეცნიერო და შემოქმედებითი შრომის აქტიურ მონაწილეებს. საზოგადოებრივ წარმოებებში დასაქმებულთა ნახევარს ქალები შეადგენენ.

აზერბაიჯანი ამაყობს თავისი ღირსეული ქალიშვილებით — ვინ არ იცნობს კოლმეურნეებს გიზგაიტ ჰასანოვას, ვასილ ზახიდოვას, მინი ნაზიროვას, ნაფისატ ნოვრუზოვას!

მრეწველობის ძნელ უბანზე შრომით ისახელეს თავი ზამინა გასანოვამ, ფარიდა რუსთამოვამ, გოვხარ ახუნდოვამ, კუბრი მაჰმუდოვამ, ფარიდა ფატულაევამ.

ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს ემსახურებიან პედაგოგები სოციალისტური შრომის გმირი მესმა ატაკიშიევა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალია ტახმასიბმი.

აზერბაიჯანელ ქალთა შორის ბევრია მეცნიერი, ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო მოღვაწე. საბჭოთა კავშირის მედიცინის მეც-



აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი ფ. კასიმოვა.

ნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ადილი ნამაზოვას, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს იზეტ ორუჯევას, პუსტი აზიზბეკოვას, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებს გამერ ალასზადეს, ოკუმი კურბანოვას, ფირანგიზ ახმედოვას, ლეილა ვეკელოვას კარგად იცნობენ მთელ კავშირში. გვყავანან რესპუბლიკის სახალხო პოეტები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები.

ბევრი აზერბაიჯანელი ქალი ნაყოფიერად მოღვაწეობს პასუხსაგებ პოსტზე. აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატია აზერბაიჯანის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯომარე ლიდია რასულოვა, განათლების მინისტრია ელმირა კაფაროვა, ვაჭრობის მინისტრია სვეტლანა კასიმოვა, საგარეო საქმეთა მინისტრია ტაირა ტაიროვა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრია ზულეიხა ჰასანოვა.

სახელოვანი აზერბაიჯანელი ქალები მე-11 ხუთწლედის შრომით ვახტზე დგანან და ახალ-ახალი წარმატებებით ხვდებიან მოძმე ერების დიდი ოჯახის, საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს.



მეტი შვილი ნიშნავს მეტ ოჯახს, მეტ ჯარისკაცს, მეტ მეცნიერს, მეტ მუშას, მეტ მწერალს, მეტ დოვლათსა და სახელმწიფოს ძლიერებას.

ე. ა. შევარდნაძე



# ქორწილი და

დარბაზი ხალხით გაიჭედა. თავი მოეყარათ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, საზოგადოების აქტივისტებს, დონორებს. აქ იყვნენ ახლადდაქორწინებულები, რამდენიმე წყვილი და ვერცხლის ქორწილის მოზეიმენი.

თბილისის საქარხნო რაიონის ამ სამახსოვრო შეხვედრაზე სიყვარულით ესალმებოდნენ ომგადახდილებს, სამშობლოს ჯილდოებით მკერდდამშვენებულს ლუდმილა ცხოვრებაძესა და იოსებ ოქროცვარიძეს — შვიდი საკუთარი და ორი უდედმამო ბავშვის აღმზრდელებს.

* * *

მეჯორწინეები მოლითის სადგურის ბაქანზე იდგნენ. მატარებელს ელოდებოდნენ. პატარძალი ლილი არევაძე გიორგი ცხოვრებაძეს მოჰყავდა ხაშურში. თან ახლდათ მაყრიონი. ბედნიერების ღიმილი უცაბედად ჩაუქრათ სახეზე. რადიო დიდი სამამულო ომის დაწყებას აცხადებდა. იდგა 1941 წლის 21 ივნისი. მეხის გავარდნას ჰგავდა მოულოდნელი ამბავი. მატარებელიც ჩამოდგა და ვაგონებში ტაატით შევიდნენ მგზავრები. გიორგის ფიქრი მოეძალა თვალებში. ხელის ზურგს ნერვულად ისვამდა შუბლზე. თეთრ, საპატარძლო კაბაში გამოწყობილი ლილი ზარდაცემული იჯდა.

ხაშურში ცხოვრებაძისას საქორწინო სუფრა გაეშალათ. ელოდნენ ნეფე-დედოფალს. ისინი მოვიდნენ კიდეც, მაგრამ აბა სად იყო ქორწილის ელფერი. რამდენიმე სადღეგრძელო ნაჩქარევად შესვეს და დაიშალნენ. გიორგიმ იმ დღით მოყვანილი პატარძალი ოჯახში დატოვა. მას საარტილერიო სასწავლებელი ჰქონდა დასრულებული და სამხედრო ნაწილს მიაშურა. სიძე ქორწილიდან წავიდა საომრად და შინ გულისხწორი დატოვა. თვალცრემლიანმა ლილიმ ჭიშკრამდე გააცილა მეუღლე და ომის გზაზე მიმავალს მანამ გასცქეროდა, სანამ თვალს არ მიეფარა.

გიორგის და ლუდმილა, ქალაქის საავადმყოფოს ექთანი, კომკავშირის კომიტეტის მდივანიც იყო. ისიც გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში და ნაწილში მოხალისედ წასვლა ისურვა. ლუდმილა ევაკოჰოსპიტალში განაწესეს. დიდი სამამულო ომის დაწყებამ მრავალი ახალგაზრდის ბედი დაამსგავსა ერთმანეთს. მოულოდნელი იყო მათი ძნელი და მძიმე გამოცდა.

ევაკოჰოსპიტალი. ლუდმილა თავს დასტრიალებს დაჭრილებს. ჰოსპიტლის ექიმი მაქსიმ ივანეს-ძე ლუდმილას დავალებებს აძლევს და ქალიშვილიც მუყაითად ასრულებს. — შენს თავზეც იფიქრე ლუდმილა, — მიმართა მაქსიმმა, — მისასალმებელია, რომ დონორი გახდი, მაგრამ ზომიერებას არ იცავ, ჩემო კარგო. ბევრ სისხლს კარგავ და ისე არ მოგივიდეს, რომ ძალა გამოგეცალოს, რა კარგი ხარ, შენ! ნუთუ ასეთი გულითადები ხართ ქართველები!

ლუდმილა მაშინ ოცი წლისა იყო — მაღალი, ტანკენარი. გაშლილ მხრებზე თმა ლაღად ეფინა. კრიალა დიდი თვალებით სიკეთეს აფრქვევდა. ხორბლისფერ ლამაზ სახეზე ღიმილი უკრთოდა. მზრუნველი მედდა საოცარ იმედად ჰყავდათ დაჭრილ მეომრებს, მედპერსონალს. ლუდმილა თავის სიცოცხლეს საფრთხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგდებდა სხვების გადასარჩენად. მამაც მედდას ბრძოლის ველიდან დაჭრილები გამოჰყავდა. ასე მოქმედებდა სამამულო ომის დაწყებიდან დასასრულამდე, ასობით ჯარისკაცს უნარჩუნებდა სიცოცხლეს.

ლუდმილამ ყური მიუგდო: კვნესოდა სერიოჟა, რომელსაც მტრის ყუმბარამ ფეხი მძიმედ დაუზიანა. ჰოსპიტალში უგონოდ მოიყვანეს. თვალი რომ გაახილა, ღვთაებრივი ღიმილი შეეგება. ეს მედდა იყო. ხომ არაფერს ინებებთო, შეეკითხა დაჭრილს. ჯარისკაცმა იმედით მიაპყრო თვალი, თქმით კი — არაფერი უთხრა. ლუდმილას ებრალებოდა და ზრუნვას არ აკლებდა, სისხლიც მისცა და მომაკვდავი მოამჯობინა. სერიოჟას გულწრფელად შეუყვარდა საოცარი გულის ქალიშვილი. თვალი მუდამ კარისკენ ეჭირა და შეჰხაროდა მის გამოჩენას. ზოგჯერ ნაომარი მიწა ნუთით წასთვლემდა ხოლმე და ჰოსპიტალშიც შვებით ამოისუნთქავდნენ. სერიოჟას სიმღერა უყვარდა და განცდით მღეროდა: „აჰ, ლიუდა ლიუდოჩკა". იგი გამოჯანმრთელდა და ეშელონს გააყოლეს. ჰოსპიტლის მკურნალებმა სიყვარულით გააცილეს, ლუდმილა კი ადგილზე დატოვეს, ევაკოჰოსპიტალში დაჭრილების ახალ ნყებას მიხედეო. მაგრამ შემზარავი სურათი დატრიალდა: ეშელონი დაბომბეს და მებრძოლები დაიღუპნენ, მათ შორის — სერიოჟაც. სამუდამოდ ჩაქრა ვაჟის გულის სიმღერაც და უიღბლო სიყვარულიც.

მაიორმა მიხეილ კაზაჩინსკიმ მწვავედ განიცადა ეშელონის ბედი. რამდენიმე დღის შემდეგ საზარელი ამბავი შეიტყო — აგრესორებს კიევში მისი საცხოვრებელი სახლი დაებომბათ, ცოლიც დაღუპოდა. ბებიასთან და საბავშვო ბაღში მყოფნი, ბავშვები კი, შემთხვევით გადარჩენილიყვნენ.

— ნუ დარდობ, მიხაილ — უთხრა ლუდმილამ კაზაჩინსკისს, — ომია, ომი. აბა გოდებით რას უშველი ნაქცეულ საქმეს. ბავშვების მოვლაში მე შეგეშველები. საქართველოში დედა და ახალგაზრდა რძალი მყავს ოჯახში დარჩენილი. მისამართს მოგცემ. თქვენებს მისწერე, ბავშვები დედაჩემთან ჩაიყვანონ, იმედი გქონდეთ, ბიჭუნებს კარგად მოუვლიან. მანამ ომიც დასრულდება და ბავშვებსაც მოინახულებ. მიხეილს სახე გადაეკარა, სიტყვით მადლობა ვერ გამოხატა, სუნთქვა შეეკრა. — აბა, შენ იცი, თუ მიშველიო, — ამის თქმაღა მოახერხა.

მიხეილმა სასწრაფოდ წერილი გაგზავნა კიევში. თავის დედას, ევდოკიას მისწერა ბავშვები საქართველოში წაიყვანეო, მალე მართლაც შეიტყო — ვიქტორი და ვოვა ლუდმილას ოჯახის ჭერქვეშ მშვიდად იზრდებიანო.

იოსებ ოქროცვარიძე ლუდმილამ ჰოსპიტალში გაიცნო. დაჭრილი საკაცით შემოიყვანეს პალატაში. ქართველი ხარ? — შეეკითხა მედდა. პატარძეულელი ვარ, გოგლა ლეონიძის მშობლიური სოფლიდან ვახლავართო, უპასუხა ჭაბუკმა... ახალგაზრდებმა მალე იქორწინეს. თავისი ძმის — გიორგის დარდი კი არ ასვენებდა ლუდმილას. ებრალებოდა ცალად დარჩენილი პატარძალი. და-ძმა ომის გზებზე არ შეხვედრიან ერთმანეთს, კანტიკუნტად მიღებული წერილები იყო მათი შუამავალი.

1944 წლის იანვარში შეწყდა გიორგის ბარათები. დიდხანს ველარ გაიგეს მისი ასავალ-დასავალი. შემდეგ შეიტყეს, ბრძოლის ველზე გმირულად დაეცაო. ჩაშლილი ქორწილით გულდამძიმებული ლილი დაითალხა, ვერ ეღირსა ძვირფას მეგობართან სიხარულს. ომმა გაყარა და სამუდამოდ დააშორა ისინი ერთმანეთს.

ჩაჩუმდა ქვემეხების ქუხილი. ფრონტებმა დაუშვეს ფარდები. ომგადახდილები საკუთარ კერიებს დაუბრუნდნენ. გამარჯვების ზეიმი იყო საბჭოთა ქუჩებში.

ლუდმილა . და იოსები ჯერ ხაშურში ჩავიდნენ. მიხეილიც თან ახლდათ. შვილები ვიტია და ვოვა მოინახულა, შემდეგ კი უკრაინაში გაემგზავრა. კიევის ცარგვალი დენთით იყო ნახრჩოლები. მიხეილ კაზაჩინსკს ჩონჩხებადქცეულმა, თვალებდათხრილმა შენობებმა გული შეუკუმშა. ომით დაღლილ მიწაზე დააბოტებდა პირმოქუფრული. ინჟინერი იყო პროფესიით და ამ ნაომარი ველის აღსადგენად თავისი წილხვედრი საქმეც უნდა ეკეთებინა. ომგადახდილმა დიდხანს ვერ იცოცხლა. გულმა უმტყუნა და გარდაიცვალა. სამი პატარა უდედმამოდ დარჩა. უდედმამობას ვამბობ, თორემ ვიტიასა და ვოვას, უკრაინელ ბავშვებს, ლუდმილა და იოსები დედობასაც უწევდნენ და მამობასაც. უმცროს დას კი კიევში ბებია ზრდიდა.

ლუდმილა ცხოვრებაძემ და იოსებ ოქროცხვარიძემ მუყაითი შრომით კარგი ოჯახი შექმნეს. ერთხანს ხაშურში იყვნენ. ვიტია და ვოვაც იქ სწავლობდნენ. შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდნენ.

საპატიო დონორი ლუდმილა ცხოვრებაძე თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ექთანია. იგი ყოველთვის მზად არის სხვათა დასახმარებლად, ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასის — სიცოცხლის გადასარჩენად. ევაკოჰოსპიტალში ყოფნისას 22 კილოგრამი სისხლი გადაუსხა სამშობლოსათვის თავდადებულ დაჭრილ მეომრებს. ასეა დღესაც. „თქვენი სიკეთე ყოველთვის მახსოვს. გაჭირვების ჟამს დიდი პატივი დამდეთ. 500 გრამი სისხლის მოცემა განა იოლი იყო? გადამარჩინეთ, სიცოცხლე დამიბრუნეთ. ნუნუ ქაჯაია". ეს ბარათი ერთი მრავალთაგანია, ლუდმილა ცხოვრებაძეს სათუთად რომ აქვს შენახული.

ყველაზე დიდი სიმდიდრე და სიამაყე მისთვის მაინც შვილებია — ცხრა შვილი, 13 შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი. ვლადიმერი მფრინავია და ჩელიაბინსკში ცხოვრობს, დავითი და ალექსი თბილისის აეროპორტში მუშაობენ, ვიქტორი კიევის ერთ-ერთი ქარხნის ინჟინერია, დალი მედდაა, მარინე — ფარმაცევტი, ლამარა და ცაცა ვაჭრობის მუშაკები, — ნელი — დიასახლისი. ყველანი დაფრთიანებულები არიან.

ლუდმილა ორ ფოტოსურათს მანვდის. ერთგან ლილისთან ერთად გვერდით მოუსხამს ვიტია და ვოვა. კალთაში ჩაუსვამთ პატარა ვლადიმერი და დავითი. ბედნიერი დედა იმზირება სურათიდან. მეორე სურათი ახლახან არის გადაღებული ბორჯომში. მაღალი კიბეების ხვეულებზე ოთხი ვაჟკაცი ჩამწკრივებულა — ვლადიმერი, ვიქტორი, დავითი და ალექსი.

ყოველი წლის 9 მაისი დიდი ზეიმის თარილია ოქროცვარიძის ოჯახშიც. სოფელ გამარჯვებაში იკრიბებიან შვილები, შვილიშვილები, სიძეები, რძლები, ფრონტელი ძმები და მათთან ჩამოდის მოსკოველი სტუმარი, სახელგანთქმული მთარგმნელი ნაუმ გრებნევიც. იგი ამ ოჯახს შემთხვევამ დაამეგობრა. ნაუმი და გიორგი ერთად იბრძოდნენ. 1944 წლის 2 იანვარს საბრძოლო დავალება მიიღეს, თავგანწირული იცავდნენ ყოველ მტკაველ მიწას. მაგრამ საბედისწერო გასროლა და... გიორგი დაეცა, ნაუმიც დაჭრეს. გვერდი-გვერდ უძრავად იწვნენ მებრძოლი ძმები. ნაუმს ესმოდა მომაკვდავი გიორგის ჩურჩული: „ნაუმ, გახსოვდეს, ჩვენებს ამბავი შეატყობინე" და უკანასკნელად ამოისუნთქა. მეგობრის სიკვდილი ორმაგი განცდა იყო ნაუმისათვის. ძმობილს სიტყვა არ გაუტეხია, ბევრი ეძია და მიაკვლია ცხოვრებაძეების ოჯახს, შეატყობინა გიორგის დაღუპვა. ცხრა წელიწადს იგლოვა ლილიმ ძვირფასი მეუღლე, ცხრა წელიწადს დადიოდა დათალხული და შემდეგ თვით ცხოვრებაძეები შეუჩნდნენ — ახალგაზრდა ხარ, შვილი არ დაგრჩენია, უნდა გათხოვდეო და ძლივს დაიყოლიეს.

9 მაისს ოჯახში საზეიმო მაგიდასთან საპატიო ადგილას ლუდმილა და იოსები სხედან — საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებულები. დიდი ჯალაბი ადღეგრძელებს ბეწვის ხიდზე ბევრჯერ გავლილ, მაგრამ მაინც გამარჯვებულ საყვარელ მშობლებს, რომლებმაც ერთგულების დიდი გრძნობა უწილადეს ყველას, ვისთვისაც ხელი და დიდი გული მიუწვდებოდათ. ვალმოხდილნი ახალგაზრდებს გადასცემენ მეგობრობის ტრადიციებს, უნერგავენ სამშობლოს სიყვარულს. ნაუმი საბრძოლო ეპიზოდებს იგონებს...

დავითმა აკაკი გეწაძის ლექსის სტრიქონები მოიშველია:

ჰე, ცაო, ცაო, მშვიდობის ცაო,  
დიდი ხანია შენი უბიდან ყუმბარები  
ალარა ცვივა,  
მიწას კი გარდასული ომის ჭრილობები  
დღეს ისევ სტკივა.

და რა რიგ ხარობს ერთად შეკრული, გამრავლებული დიდი ოჯახი, მშვიდობის ცის ქვეშ რომ სუნთქავს მარად ლაღი და ბედნიერი.

ეთერ ჯაფარიძე

17486

# თეატრალური ოჯახიდან



საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა, ირინე დონაურმა, აღზრდა დიდი თეატრალური რეფორმატორის, ქართული საბჭოთა თეატრის შემქმნელის, დიდი ქართველი რეჟისორის, კონსტანტინე მარჯანიშვილის ოჯახში მიიღო. ცხადია, მსახიობ ქალს ამ ოჯახიდან გამოჰყვა ბევრი რამ ნიშანდობლივი, რომელიც სწორედ ამ თეატრალურ ოჯახს ახასიათებდა. ოჯახის ტრადიციების გავლენა იგრძნობოდა მსახიობის მთელი მოღვაწეობის მანძილზე და სასიხარულოა, რომ იგი საინტერესო მსახიობი გახდა. ამას ისიც დაემატა, რომ მსახიობმა ქალმა თავისი პირადი ცხოვრება დაუკავშირა სერგო ჭელიძეს — შემდეგში გამოჩენილ ხელოვანს, ცნობილ რეჟისორს, საქართველოს სახალხო არტისტს. ბატონი სერგო ხომ კ. მარჯანიშვილის ჭეშმარიტი ტალანტის ძალას იყო ნაზიარები.

ი. დონაური კახეთის მცხუნვარე მზით გამთბარ სოფელ ბაკურციხეში დაიბადა და ბავშვობის წლებიც კახეთში გაატარა. ირინე დედამ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ელენე დონაურმა თბილისში ჩამოიყვანა და თეატრალურ სტუდიაში მიაბარა. ნიჭიერმა გოგონამ პარალელურად დაამთავრა საშუალო სკოლა.

ის დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მსახიობს მუდამ ჰქონდა, იმ დროისათვის ყურადსაღები განათლება და კულტურა ირინე დონაურს ოჯახმა შესძინა. ოჯახი კი მოწინავე რუსი და ქართველი ინტელიგენციის თავშეყრის მყუდრო კერა იყო. აქ განიხილავდნენ უცხოური და რუსული დრამატურგიის კლასიკურ ნაწარმოებებს, ქართველი მწერლების პიესებს. ამიტომ იყო, რომ ირინე დონაური, როგორც შემოქმედი, არ ყოფილა ვიწრო ჩარჩოებში მოქცეული. იგი ერთგვარად საინტერესოდ განასახიერებდა როგორც უცხოური და რუსი, ასევე ქართველი ქალების რთულ, მრავალპლანიან სახეებს.

ვისაც ირინეს დედა, ელენე დონაური სცენაზე უნახავს და შემდეგ მისი შვილის თამაში შეუფასებია, ადვილად შეამჩნევდა ამ ორი შემოქმედისათვის დამახასიათებელ საერთო თვისებას — არცერთი მათგანი პარტნიორთან ურთიერთობაში არ ცდილობდა თავისი გმირის წინ წამოწევას, პარტნიორზე ზემოქმედებას, თავის გამოჩენას, თუნდაც ამისი საშუალება ჰქონოდა. მათი თამაში იყო ნაწილი საერთო ანსამბლისა, რომელიც ხელს უწყობდა სპექტაკლის გამარჯვებას.

— ოცდაათიანი წლების ქუთაისის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა თეატრში კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობა. ეს იყო თეატრალური ხელოვნების ჭეშმარიტი ზეიმის წლები. სწორედ აქ შედგა ირინე დონაურის პირველი სცენური ნათლობა. კოტემ მას გრეტას არცთუ პატარა როლის შესრულება მიანდო („ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!").

ირინე დონაური სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის, თბილისის, სოხუმის თეატრებში. სწორედ სოხუმის თეატრში მოხდა მსახიობის მთელი შესაძლებლობების სრული გამოვლინება. სოხუმში მთელი ათი წელი გაატარა ჭელიძეების ოჯახმა და მათ აფხაზეთის მიწაზე ქართული სიტყვის დამკვიდრებისა და აყვავების საქმეში მართლაც დაუფასებელი წვლილი შეიტანეს. სოხუმის სახელმწიფო თეატრი ყოველთვის იყო ქართული თეატრალური შემოქმედებითი კადრების წრთობის, ჩამოყალიბებისა და შესაძლებლობების გამოვლინების სარბიელი. სწორედ სოხუმმა მისცა ჩვენს თეატრებს ჩინებული მსახიობები: სალომე ყანჩელი, ბუხუტი ზაქარიაძე, ზურაბ ლაფერაძე, ელენე საყვარელიძე, ოთარ კობერიძე, გელა რევაზიშვილი, ვიქტორ ნინიძე და სხვანი. ირინე დონაური თავის დროზე მათი ღირსეული პარტნიორი იყო.

ჭელიძეების ოჯახმა მთელი სამამულო ომის პერიოდი სოხუმში გატარა და, როდესაც თეატრში ირინეს მოწოდება გაისმოდა, ხშირად ციდან მტრის თვითმფრინავების საშიში გუგუნი იდგა. ამიტომ, ირინე დონაურის მოღვაწეობა სოხუმის თეატრში ორმაგად არის დასაფასებელი.

ჩვენ გვყავდა მსახიობი, შემოქმედი და დედა ქალი, რომელიც ხშირად თავის ოჯახში აპურებდა დაჭრილებსა და ავადმყოფებს. სწორედ სამამულო ომის წლებში შექმნა მსახიობმა სოხუმის სცენაზე რევოლუციური სულისკვეთებისა და პატრიოტული შემართების ამსახველი სახეები. მის მიერ განსახიერებული გმირი ქალები სიყვარულს, მამულის და რევოლუციური მონაპოვრის დაცვას ქადაგებდა, ეს კი მართლაც რომ ჰაერივით სჭირდებოდა მაშინ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. სოხუმში ჩამომდგარი სამხედრო ნაწილები ხშირად შაშხანებით შედიოდნენ თეატრში. აქ კი ლაურენსია-ირინე ბრძოლის სურვილით ალაგზნებდა ქართველ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. ცოტა მოგვიანებით განახორციელა მსახიობმა ომში წასული კაცის მეუღლის, ნატო ხარატელის მიმზიდველი სახე, ქალისა, რომელიც მტკიცე ზღუდედ ედგა ქმრის მიზანს, ზურგიდან აწვდიდა სიყვარულით აღვსილ იმედს და არც ეს იმედი დაუკარგა, არ აჰყვა ცდუნებას, ბოლომდე მტკიცე და ერთგული დარჩა ჯარისკაცისა, რომელიც მთელი კაცობრიობის სიმშვიდის შენარჩუნების სადარაჯოზე იდგა.

სოხუმის მაყურებელს დიდხანს ეხსომება ირინე დონაურის მიერ შესრულებული ივდითი (გუცკოვის „ურიელ აკოსტა"), საცოლე (გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი"), ბეატრიჩე (შექსპირის „აურზაური არაფრის გამო"). მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის ეს სამი ნიმუში სხვადასხვა სეზონში დაიდგა სოხუმის თეატრში. ირინემ სხვადასხვა ხასიათის და სხვადასხვა მრწამსის მქონე ქალიშვილები განახორციელა, მაგრამ, თუ იმდროინდელ თეატრალურ კრიტიკოსებს დავუჯერებთ, ყველა მათგანის სახეს მსახიობი რაღაც თავისებურს, საკუთარს, განუმეორებელს მატებდა. მართლაც ძნელი იყო ხელყოფა ივდითის როლისა დიდი მსახიობის — ვერიკო ანჯაფარიძის შემდეგ, მაგრამ ირინე ცდილა ივდითი ისე განესახიერებინა,





მარია ალექსანდროვნა — „ოჯახი"

რომ თავი დაეღწია დიდი მსახიობის გავლენისაგან.

ცალკე უნდა გამოვყოთ რუსული კლასიკური დრამატურგიის განხორციელება სოხუმის სახელმწიფო თეატრში. მაშინ იქ დაიდგა მ. გორკის „მდაბიონნი", ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში", ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი". ელენე კრივცოვა, ლიზა პროტასოვა და კრუჩინინა — აი ის სამი რუსი ქალის კლასიკური სახე, რომელიც ირინე დონაურმა განახორციელა სოხუმის სახელმწიფო თეატრში. ის ფაქტი, რომ მსახიობი ასე თავისუფლად და შეუზღუდავად გრძნობდა თავს რუსი ქალების როლებზე მუშაობის დროს, მსახიობის ღრმა ერუდიციასა და კულტურას მოწმობს.

ოთხი წელი დაჰყო ირინემ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში. მდიდარი გამოცდილებით მოვიდა და თეატრიც ხელგაშლილი შეხვდა. ირინემ ბევრი საინტერესო სახე შექმნა, მაგრამ მისი შემოქმედებითი მწვერვალი მაინც რუსული კლასიკა გახდა. მან ბარონესას როლი განასახიერა მ. ლერმონტოვის პიესაში „მასკარადი".

1953 წლიდან მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორად დაინიშნა ირინეს მეუღლე სერგო ჭელიძე. ამ ამბავს ირინეს მარჯანიშვილის თეატრიდან საბავშვო თეატრში გადმოსვლა მოჰყვა. მას არ გასძნელებია მხარი აება ამ თეატრის ამაგდარი მსახიობებისათვის. სულ რამდენიმე წელში იგი გოგუცა კუპრაშვილის, თამარ თვალიაშვილის, მერი ჯაჯანაშვილის, ლეილა ძიგრაშვილის, რევაზ თავართქილაძის, ეთერ სიხარულიძის, გელა რევაზიშვილის გვერდით აღმოჩნდა. მდიდარი გამოცდილება მოიტანა მსახიობმა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. ამ დროისათვის თეატრმა ფართოდ გაუღო კარი მოწინავე რუსულ საბავშვო დრამატურგიას. აქაც რეჟისორი აქცენტს ირინეს შესაძლებლობებზე აკეთებდა, როგორც რუსული ხასიათების საუკეთესო შემსრულებელზე.

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში ირინემ მრავალი როლი განასახიერა. ამათგან, თეატრის ისტორიაში შევიდა მის მიერ განხორციელებული ადელმა (ფ. შილერის „პრინცესა ტურანდოტი"), კრუჩინინა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი"), მინისტრის მეუღლე (გ. ნახუცრიშვილის „ბორის ძნელაძე"), კომინსკაია (მ. შატროვის „რევოლუციის სახელით"), ვერა ვასილევნა (დ. თაქთაქიშვილის „ნევის შევარდენი").

ცალკე უნდა გამოვყოთ ირინე დონაურის მიერ განხორციელებული ვ. ლენინის დედის, მარია ალექსანდროვნას როლი. ეს სახე ისეთი სიყვარულითა და დიდი პროფესიული თვალთახედვით ჰქონდა დამუშავებული, რომ სცენაზე მის ყოველ გამოჩენას მოზარდები ოვაციებით ხვდებოდნენ.

ნაადრევად წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მსახიობი. წავიდა მეუღლესთან, საქართველოს სახალხო არტისტ სერგო ჭელიძესთან ერთად. წავიდნენ, მაგრამ თეატრის ისტორიას ძვირფასი ფურცლები შესძინეს. ჩვენი ხელოვნების ასევე ძვირფასი შენაძენია მათ მიერ აღზრდილი ორი მამულიშვილი — დრამატურგი და სცენარისტი ლევან ჭელიძე და თეატრალური მხატვარი კოტე ჭელიძე. მათს ნაყოფიერ შემოქმედებას ჩვენ ყველგან ვხვდებით — თეატრში, კინოში, საგამოფენო დარბაზებში, თეატრალურ ოჯახებში.

**მაყვალა ცხომარია**



# აკაკის

ბათუმში სტალინის პროსპექტისა და მარქსის ქუჩის გადაკვეთასთან, იქ, სადაც პატარა სკვერში ლოდებზე წყალი გადმოჩქეფს, ორსართულიანი ლამაზი შენობა დგას, რომელიც მარტო არქიტექტურული გადაწყვეტით როდი გამოირჩევა. მასში მოთავსებულია აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

შეაღებთ თუ არა ვეებერთელა შემინულ კარს, უმალვე დიდებული აკაკის პორტრეტი შემოგღიმებთ. შემოგღიმებთ და თქვენს მეხსიერებაში აამღერებს სტრიქონებს: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა"...

ბიბლიოთეკის განიერ სამკითხველო დარბაზებსა და წიგნსაცავებში დუმილს დაუსადგურებია. მაგიდებზე დახრილი ასობით ადამიანი წიგნთა სამყაროში ჩაძირულა. ზოგიერთებს გულზე მიუკრავთ შერჩეული წიგნები და ფეხაკრებით სტოვებენ იქაურობას.

ბიბლიოთეკის დირექტორი ეთერ ცივაძე კაბინეტში დამხვდა, საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილ რაღაც ფურცლებს ასწორებდა.

წიგნებთან ისეთ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ საქმე, რომელთაც ის უყვართ, რომელთაც იციან მისი ფასი. ეთერმა სამოციან წლებში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. შემდეგ მუშაობდა კომკავშირის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად; სწავლობდა მოსკოვის საკავშირო კომკავშირულ სასწავლებელში. იყო კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანი. აქტიური კომკავშირული მუშაობის შემდეგ პარტიის საქალაქო კომიტეტში გადაიყვანეს. 1969 წლიდან კი უშუალოდ იმ საქმიანობას მოჰკიდა ხელი, რითაც გატაცებული იყო, რასაც თავის მოწოდებად თვლიდა, — იგი აჭარის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორად დანიშნეს.

თვალი გამექცა მაგიდაზე გაშლილი ფურცლებისაკენ. პირველ გვერდს დავხედე: „ბიბლიოთეკის მოკლე ისტორია". მივხვდი, მონოგრაფიას ამზადებდა. ეთერისათვის კითხვები აღარ დამისვამს, ზოგიერთი რამ პირდაპირ იქიდან ამოვიწერე.

რუსთაველის თანამედროვის, დიდი მწიგნობრისა და პატრიოტის ტბელ აბუსერიძის სამშობლო ბედუკუღმართობის ჟამს დიდხანს გმინავდა თურქ ასიმილატორთა

ქ. მარქსის სახ. სს. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელობის ბიბლიოთეკა

ფეხქვეშ. დამპყრობელი ცდილობდა ამოეკვეთა ეროვნული კულტურა, ენა, მოეშალა ეკონომიკა. მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როცა აჭარა დედა სამშობლოს დაუბრუნდა, მთელს აჭარაში სკოლა და ბიბლიოთეკა კი არა, ქართულ ენაზე დაბეჭდილი წიგნიც კი იშვიათობად ითვლებოდა.

90-იან წლებში გაზეთებმა „ივერიამ“ და „კვალმა“ პირველებმა მოითხოვეს ბათუმში გახსნილიყო სახალხო ბიბლიოთეკა. თავის მხრივ იმ პერიოდში ბათუმის ცნობილ მოღვაწეებს დ. კლდიაშვილს, მ. შარაშიძეს, ტ. წერეთელსა და სხვებს საწადელი არ დაუკლიათ. მოგვიანებით 1900 წელს ალ. წულუკიძისა და ფ. მახარაძის დიდი მეცადინეობის შედეგად ბათუმში გაიხსნა დიდი ხნის ნანატრი სახალხო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა იმ ხანებში რამდენიმე ასეულ ტომს ითვლიდა.

დღეს კი... დღეს აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ეროვნულ სახელმწიფო წიგნსაცავს წარმოადგენს, რომელიც 337625-ზე მეტ ბეჭდურ ერთეულს ითვლის. ბიბლიოთეკის ფონდში, გარდა ქართული და რუსული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, დაცულია მოძმე ერების ენებზე გამოცემული მხატვრული და ეროვნული ლიტერატურა. გარდა ამისა, იგი რესპუბლიკის ყველა ტიპის ბიბლიოთეკების მეთოდური და ბიბლიოგრაფიული მუშაობის ხელმძღვანელობის ცენტრიც გახლავთ. რამდენი ასეთი ბიბლიოთეკაა აჭარაში? — თავად განსაჯეთ: დღევანდელი აჭარა ზღვისპირეთიდან შორეულ ღორჯომამდე დაფარულია კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელით. ზოგიერთ სოფელში რამდენიმე ბიბლიოთეკაც კი არის. არ არის ისეთი სკოლა, რომელსაც მდიდარი წიგნადი ფონდი არ ჰქონდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეთოდურ ცენტრში უამრავი საქმეა.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა წარმართავს სამეცნიერო-მეთოდურ საქმიანობას. აწყობს სემინარულ მუშაობას, ამზადებს კადრებს, ეხმარება პერიფერიულ ბიბლიოთეკებს სპეციალისტთა დაოსტატებაში, ადგილზე მისვლით დიდ დახმარებას უწევენ მაღალმთიანი რაიონის ბიბლიოთეკებს.

ბიბლიოთეკის მუშაობაში განსაკუთრებით საყურადღებოა საგამომცემო საქმე. ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომელთაც სათავეში ეთერი უდგას, ამზადებენ როგორც ბიბლიოგრაფიულ, ასევე მეთოდურ სახელმძღვანელოებს.



ეთერ ცივაძე (ფოტო)

ბათუმის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკის ბოლო წლების სიახლე ის გახლავთ, რომ აქ შეიქმნა სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილება, სადაც თავმოყრილია მასალები კულტურულ მშენებლობასა და მოწინავეთა გამოცდილების შესახებ.

რაც მთავარია, რესპუბლიკური ბიბლიოთეკა არც მეთოდური და არც პროპაგანდისტული საქმიანობით არ არის შემოფარგლული. იგი ნამდვილი შემოქმედებითი ორგანიზაციაა, სადაც იმართება მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები მწერლებთან, მხატვრებთან, კინოს მუშაკებთან, მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან.

ვინ არიან ამ მრავალფეროვანი ძიებების შემოქმედნი? — რა თქმა უნდა ადამიანები, რომლებიც ამ ცოდნის ტაძარს შინაარსს, სილამაზეს, სიცოცხლეს მატებენ. ესენია საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარები: თ. მენაბდე, ს. ჭელიძე, საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარები: გ. დიასამიძე, ნ. ახვლედიანი, ნ. ტაბუცაძე, ჟ. ქამუშაძე, ა. ჩხაიძე, ც. ჩანტლაძე, ა. ხელაძე, კ. შაქარიშვილი, ლ. მილოვა, რ. ჯინჯიხაძე და სხვები.

ეთერის მამა იუსუფი ბათუმში ცნობილი მწიგნობარი, იურისტი და საზოგადო მოღვაძე გახლდათ, ესმოდა ცოდნის ფასი, ეთერის უფროსი და გულნარა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სახელმოხვეჭილი პედიატრია, უმცროსი ძმა — რეზო მამის გზას დაადგა, იურისტი გახდა. ნანულიმ თერაპევტის პროფესია შეიყვარა, ხოლო ყველაზე უმცროსი ასლანი მოსკოვის ს. კურნაკოვის ინსტიტუტის პროფესორი გახდა. მამის ოჯახის ყოველი წევრი ცდილობს ქვეყნის სამსახურში თავისი ვალი პირნათლად მოიხადოს.

ეთერისთან როცა არ უნდა შეხვიდეთ, იგი წიგნებს, პერიოდულ პრესას ჩაჰკირკიტებს. ეძებს, აგნებს, ამუშავებს და მიღებული ცოდნის საფუძველზე ახალ საყურადღებო სიტყვას ამბობს. მისი მუშაობა მხოლოდ რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დარბაზებსა და წიგნსაცავებით როდი შემოიფარგლება. აწყობს სემინარულ მუშაობას, ნახავთ სტამბაში, პარტიულ აქტივებზე უშორეს რაიონებსა და სოფლებში. ვისზეც ხელი მიუწვდება ასწავლის ყველას: რა ფასდაუდებელი განძია წიგნი!

მიხეილ გორგილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო ხოშტარია

მერვე ათეული წელს იტოვებს უკან ცნობილი მკვლევარი ნინო ექვთიმეს ასული ხოშტარია. ხანდაზმული ქალი კვლავ ძველ სიგელ-გუჯარებს დასტრიალებს თავს, რაც გააკეთა მცირედ ეჩვენება. სიძველის სურნელება ისევ ახალგაზრდულად იზიდავს. ქალბატონ ნინოს ბევრ საინტერესო პუბლიცისტურ წერილს მიუპყრია ჩვენი ყურადღება. ნიჭიერი ქალი მრავალი ქართველი მწერლის დაბადების თარიღების, მათი ცხოვრების ჭეშმარიტი ფაქტების წარმომჩენი და დამდგენელია. დღესაც ამით ცოცხლობს. ხშირად შეხვდებით მას არქივ-საცავებსა თუ ბიბლიოთეკაში.

ნინოს მუყაითი შრომა დედამ შთააგონა. გუშინდელ დღესავით ახსოვს 1924 წელი, ქალთა პირველი ყრილობა და იმ ყრილობაზე ქუთაისის ერთ-ერთი სოფლიდან თბილისში დელეგატად გამოგზავნილი მისი ახალგაზრდა დედის ვასასი ჩხენკელ-ხოშტარიას გამოსვლა. ნინოს ბევრჯერ მოუსმენია ტრიბუნაზე დედისათვის, რომელიც ლაპარაკობდა საბჭოთა ხელისუფლებაზე, ქალთა მეგობრობაზე, ახალ მიზნებსა და ამოცანებზე. აქ უნახავს მას მარიამ ორახელაშვილი, ბოლშევიკი ქალები ტაშით რომ ხვდებოდნენ მის გამოსვლას. აქ გაიცნო მან ჟურნალ „ჩვენი გზის" რედაქტორი მწერალი ალექსანდრა ჩხენკელი; ქუთაისის ქალთა დელეგაციის თავმჯდომარე, სორბონის უნივერსიტეტდამთავრებული პოეტი ქალი კატო მიქელაძე. ეს ღვაწლმოსილი, უანგარო ადამიანები ნინოსათვის მისაბაძნი გახდნენ. ოჯახურმა წრემ, ნათესავ-მეგობართა გარემომ, საზოგადო მოღვაწეთა ხშირმა სტუმრობამ თავიდანვე გაუღვიძა პატარა ნინოს საზოგადოებრივი ინტერესები. დიდი გავლენა ჰქონდა ნინოზე აგრეთვე ქუთაისის გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელს დავით ჩხეიძეს, რომელიც მწერლობაში დია ჩიანელის ფსევდონიმით გამოვიდა. მკვირცხლ, ცოცხალ გოგონას — ნინო ხოშტარიას გიმნაზიის სცენაზე ერთ-ერთი ეპიზოდური როლიც კი უთამაშია დია ჩიანელის პიესაში, უფროს კლასებში დავით კლდიაშვილის საღამოზეც გამოსულა მოხსენებით. ნიჭიერი ქალიშვილის რეფერატების კითხვას ხშირად ესწრებოდნენ კლასიკური გიმნაზიისა და სათავადაზნაურო სასწავლებლის მოსწავლეები: ბესარიონ ჟღენტი — შემდეგში ცნობილი კრიტიკოსი, პოეტები: სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ ჩაჩავა, დავით ჩხეიძის მეუღლე, მეტად განათლებული ქალი ფაცია ჩხეიძე და სხვები.

1921 წელს ნინო ხოშტარია წარჩინებით ამთავრებს ქუთაისის ქალთა გიმნაზიას და იმავე წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებშივე მუშაობას იწყებს თბილისის ცენტრალურ არქივში, რომლის შესახებაც თვითონ წერს, აქ მუშაობა ჩემი ცხოვრების სტიქიად იქცაო.

1931 წელს გაზეთ „ტრიბუნაში" იბეჭდება ნ. ხოშტარიას პირველი წერილი „ბეთანიის მონასტრის აღწერა". მკვლევარი ქალი აქტიურად მონაწილეობს ცენტრალური არქივის ჟურნალ „ისტორიულ მოამბეში";

ნინო ხოშტარია მესამე კურსიდან ისტორიის ფაკულტეტზე გადადის, რომელსაც 1932 წელს ამთავრებს. არქივში მუშაობის წლებმა დიდი გამოცდილება შესძინა ახალგაზრდა სპეციალისტებს. იმ ხანებში მან პირნათლად შეასრულა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალება — საარქივო მასალების გამოვლინება რევოლუციონერების შესახებ (1900 წლიდან 1924 წლამდე). ნინო ხოშტარიამ ჟანდარმერიის საინტერესო საბუთებს მიაკვლია ლადო კეცხოველის მკვლელობის შესახებ.

არქივში მუშაობამ დააახლოვა ნინო დიდ მეცნიერებს — სიმონ ჯანაშიას, აკ. შანიძეს, გ. ჩიტაიას. დიდი დახმარება გაუწია მან პროფესორ მელიქსეთ-ბეგს სიძველეთა აღწერილობაში. მეცნიერმა წერილობით გადაუხადა მადლობა: „დიდ მადლობას მოგახსენებთ ქ-ნო დიდი შრომისთვის. თქვენ მე შემაძლებინეთ თვეობით გასაკეთებელი საქმე მოკლე დროში შემესრულებინა. და ეს არ იყო პატარა საქმე. კვლავ მადლობას მოგახსენებთ და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ. პატივისცემით თქვენი მელიქსეთ-ბეგი, 1937 წ. 6/X."

1939 წელს ნინო ხოშტარია სამსახურს იწყებს საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში. ამ დროს მუზეუმის დირექტორი პოეტი, აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე იყო. ასეთი დიდი პიროვნების გვერდით მუშაობამ ბევრი რამ ასწავლა ნინოს. ეს წლები ყველაზე უბედნიერესი წლებია მის ცხოვრებაში.

— ისე დღე არ გავიდოდა, რომ დიდ ქართველ პატრიოტს გ. ლეონიძეს არ ეკითხა: აბა ახლა რას აკეთებთ, რაზე მუშაობთ, აქ მთელი ლავრაა ჩვენი დიდებული ლიტერატურული წარსულისა, ვინძლო ყველაფერი დღის სინათლეზე გამოიტანოთო. — იგონებს ნინო ხოშტარია.

მუზეუმში მუშაობის წლებში, ნინო ხოშტარია აქვეყნებს საინტერესო წერილს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღის შესახებ, რომელიც თავად მიიკვლია და აღმოაჩინა. ამით აღფრთოვანებული გიორგი ლეონიძე ნინო ხოშტარიას უგზავნის ჟურნალს „ლიტერატურულ მატიანეს" (პირველ და მეორე ტომებს) წარწერით: „კარგი, სერიოზული შრომისთვის ჩემს მეგობარს ნინო ხოშტარიას".

ნინო ხოშტარიას შრომებისა და წერილების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მან ბევრი კარგი წერილი მიუძღვნა აკ. წერეთლის დაბადების საიუბილეო თარიღს. მათ შორის დავასახელებთ: „ინტერნაციონალი და მეფის ცენზურა", რომელიც ავტორის მიერ მიკვლეული მასალების საფუძველზე გვიჩვენებს პოეტის რევოლუციონურ სულისკვეთებას და მთავრობის დამოკიდებულებას აკ. წერეთლისადმი. ასეთივე საინტერესო შრომა გამოაქვეყნა ნინომ 1946 წელს, ცენტრალურ არქივში მიკვლეულ მასალათა საფუძველზე. შრომის თემაა: „იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის საკითხები". ნინო ხოშტარიასვე ეკუთვნის რაფიელ ერისთავის დაბადების თარიღის დადგენა, ალ. ყაზბეგის ორი უცნობი, დაკარგული პიესების მიკვლევა და სხვ.

ნინო ხოშტარიას წერილებს შორის ყურადღებას იპყრობს ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი წერილები, რომლებიც გაზ. „კომუნისტსა" და „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა: „ნ. ჩერნიშევსკი და ქართველი საზოგადოება", „ნ. გოგოლი", „ვ. მაიაკოვსკი".

ნინო ხოშტარიას ცხოვრება შინაარსიანი და საინტერესო იყო. მას ის დღე დღედ არ მიაჩნდა თუ რამე სიახლით არ შეავსებდა თავის საზოგადოებრივ შრომა-საქმიანობას. ქ-ნი ნინო კარგი დედა და დიასახლისია. ვულოცავთ მას დაბადების მეოთხმოცე წლისთავს და გვწამს, რომ მისი აზრიანი, შინაარსიანი ცხოვრება ყოველთვის საუკეთესო მაგალითი იქნება ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის.

ნინო ჩიხლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეჰ, მოდა, მოდა!



მხატვარი-მოდელიორი
ნანა ცქვიტაია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აკვნის მავნებლობის შესახებ



ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ბავშვთა დაინვალიდების შემცირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანდაყოლილი დეფორმაციების დროულ გამოვლინებას, სწორ დიაგნოზს და მკურნალობას. სამშობიარო სახლში მიკროპედიატრების მიერ შემჩნეული ყველა მიკრო ნიშანიც კი ცნობილი უნდა იქნეს უბნის პედიატრისათვის, რადგანაც ადრეულ ასაკში გამოვლინებული რომელიმე მანკი (იქნება ეს ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა, კისერმრუდობა, ტერფმრუდობა, ხერხემლის დეფორმაციები თუ სამშობიარო ტრავმები) და დროულად მიღებული სათანადო ზომები (სწორად ჩატარებული მკურნალობა, რეჟიმი), აცილებს ოჯახს მოსალოდნელ უბედურებას.

დღეს საქართველოში არსებობს ფართო სამედიცინო ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური ქსელი, **მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის** თანდაყოლილი დეფორმაციებით დაავადებულები გვიან მიმართავენ ექიმ-ორთოპედს, რაც აძნელებს მკურნალობას და შედეგებიც არასასურველია. აუცილებელია, რომ მშობლებს და ბაგა-ბაღის აღმზრდელებს შეეძლოთ დაავადებათა ნაადრევი ნიშნების გამოცნობა. შეგნებული, აქტიური და დროული ჩარევა მათი მხრიდან დიდ დახმარებას გაუწევს ჯანდაცვის ორგანიზაციებს ბავშვთა ინვალიდობის შემცირების საქმეში.

საქართველოს მოსახლეობაში ხშირია ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა, კოჭლობა, ტკივილი მენჯ-ბარძაყის სახსარში, დეფორმაცია; ასეთი სიმპტომოკომპლექსით ხასიათდება ეს მძიმე დაავადება, რომელსაც ადამიანი მიჰყავს ინვალიდობამდე. ათას ახალშობილთა შორის ყოველი მეოთხე-მეხუთე ამ დაავადებითაა შეპყრობილი. ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობით დაავადებულია ორთოპედიულ ავადმყოფთა 40-45 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ გოგონები 4-5-ჯერ უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე ვაჟები. უფრო ხშირად გვხვდება ორმხრივი ამოვარდნილობა, ვიდრე — ცალმხრივი.

რესპუბლიკებში ამ დაავადების სიხშირე სხვადასხვაგვარია, ჩვენს რესპუბლიკაში იგი 6-8-ჯერ მეტია.

ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობის წარმატებითი მკურნალობა შესაძლებელია მხოლოდ მისი ნაადრევი გამოვლინების შედეგად. ამ დაავადების პროფილაქტიკა დედის ორსულობის პერიოდიდან იწყება. ორსულობის პირველ ნახევარში საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილის **გამოჩენა, რადგან ჩანასახი ამ პერიოდში მეტად მგრძნობიარეა მავნე ფაქტორთა** ზემოქმედებისადმი, სიცოცხლის პირველ დღეებში კი აუცილებელია ყველა ახალშობილის ორთოპედიული გასინჯვა.

ვიდრე ბავშვი ფეხს აიდგამს, ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობის გამოცნობა ძნელია, მაგრამ ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება მშობლებმაც შეამჩნიონ. ეს ნიშნებია ბარძაყის ნაოჭების ასიმეტრია და სიღრმისა და მიმართულების დარღვევა, კიდურის გამოხატული შეტრიალება გარეთ, ცალმხრივი ამოვარდნილობის დროს კი — კიდურის სიმოკლე და მენჯ-ბარძაყის სახსარში განზიდვის შეზღუდვა. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ბავშვს არაფერი ეტყობა, მაგრამ იგი მაინც დაავადებულია, ამიტომ აუცილებელია 3-4 თვის ასაკში მენჯ-ბარძაყის სახსრის რენტგენოგრაფია.

ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობის წარმომშობ მიზეზთა შორის მნიშვნელოვანია როგორც გენეტიკური ფაქტორები (შთამომავლობითი დატვირთვა), ასევე ახალშობილის ჩაწვენა აკვანში. ჩვენი მონაცემებით ორთოპედიულ ავადმყოფთა 80 პროცენტი აკვანში იზრდებოდა. ძირითადად სოფლის მცხოვრებნი (58 პროცენტი). სამწუხაროდ, ამ დაავადების შემცირების ტენდენცია არ იგრძნობა, რადგან ახალშობილებს კვლავ აკვანში ზრდიან.

აკვნის მავნეობა ბარძაყის ამოვარდნილობის განვითარებაში გაპირობებულია იმით, რომ ახალშობილს ქვემო კიდურებს ნაძალადევად ვუშლით და მოვუზიდავთ. ამას კიდევ ართულებს კიდურებს შორის შიბაქის მოთავსება, ამ დროს ბარძაყების ზედა ნაწილები განიზიდება, ქვედა კი არ**ტახებით არის მოზიდული. შექმნილი ბერკეტი ბარძაყის თავს გარეთ ეწევა, რაც გა**ნუვითარებელი სახსრიდან ბარძაყის თავის ამოვარდნას უწყობს ხელს და აფერხებს ამოვარდნილობის თვითგანკურნებას.

ჩვილის საწოლად საქართველოში ძველთაგანვე აკვანს იყენებდნენ. მისი ფართო გავრცელება იმ დროს გამართლებული იყო. აკვანში ბავშვი 2-3 წლამდე საიმედოდ იყო იზოლირებული ოჯახური შინასამყაროსაგან: შუაცეცხლისაგან და შინაური ცხოველებისაგან; აკვანს ადვილად გადაადგილებდნენ, როგორც მშვიდობიან პერიოდში — მინდორსა და ვენახში, ასევე ხშირი ომების დროსაც.

ძველი ყოფა ახალმა შეცვალა და აშკარად გამოვლინდა აკვნის უარყოფითი მხარეები. დადგენილია, რომ აკვანში

ფერხდება ჰაერის ვენტილაცია, მომატებულია სინოტივე; დაცული არ არის გამტვერიანებისაგან; არტახების გამო ბავშვის მოძრაობა უკიდურესად შეზღუდულია. აკვანში გაზრდილ ბავშვებს უბრტყელდებათ გულმკერდი, მენჯი და თავი. გვიან იწყებენ ჯდომას და სიარულს, აქვთ უნებლიე შარდვა, რაქიტი. აკვნად ყოფნის პერიოდში ჩამოყალიბებული ძვრები საკმაოდ მყარია და მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვებათ. აკვანში გაზრდილ ქალებს ხშირად მენჯის დიამეტრების თანაფარდობის დარღვევა აღმოაჩნდებათ ხოლმე, რის გამოც უძნელდებათ მშობიარობა.

როდესაც აკვანში და უაკვნოდ გაზრდილ ავადმყოფებს ვიკვლევდით, დავრწმუნდით, რომ აკვანი ასრულებს ამ დაავადების გამომავლინებელ ფაქტორს. თუ არა აკვანი, შთამომავლობით მიღებული მენჯ-ბარძაყის სახსრის განუვითარებლობა შეიძლება ფარულად დარჩენილიყო, მაგრამ აკვნის პროვოკაციული მოქმედების შედეგად, აშკარად ვლინდება ე. ი. ჩამოყალიბდება ბარძაყის თავის ამოვარდნილობა. ამ აზრს ადასტურებს შემდეგი საინტერესო მაგალითი: ერთ ოჯახში ერთკვერცხიანი ტყუპი გოგონებიდან ერთი, რომელიც მეტი წონისა დაიბადა, გაზარდეს აკვანში, ხოლო მეორე, უფრო სუსტი, გაზარდეს თავისუფლად, უაკვნოდ. სხვა გარემო პირობები, რომლებშიც ბავშვები იზრდებოდნენ, აბსოლუტურად ერთნაირი იყო, სამი თვის ასაკში ბავშვების ორთოპედიული პროფილაქტიკური გასინჯვისას დადგინდა, რომ აკვანში გაზრდილ გოგონას ჰქონდა ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა. რაც შეეხება მეორეს, არც ეს დაავადება ჰქონდა და ფიზიკური განვითარებითაც გაუსწრო თავის დას.

უნდა ვივარაუდოთ, პირველი გოგონა რომ აკვანში არ ჩაეწვინათ, ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ამ ვარაუდს ადასტურებს გამოკვლევები ხევსურეთში, სადაც აკვანს არ ხმარობენ. იქ ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ბარძაყის ამოვარდნილობის ვერცერთი შემთხვევა.

დიდი ხანია დადგა დრო, უარი ვთქვათ ტრადიციულ აკვანზე, ავკრძალოთ მისი წარმოებაც და ხმარებაც. ბავშვი უნდა გაიზარდოს თავისუფლად, ხელ-ფეხის შებოჭვის გარეშე. განზიდული კიდურების შეხვევა, ე. წ. ფართე შეხვევა, ხელს უწყობს ახალშობილის მენჯ-ბარძაყის სახსრის ნორმალურ განვითარებას. ასეთი შეხვევა კარგი და სასურველია ყველა ახალშობილისათვის, ხოლო აუცილებელია განუვითარებელი მენჯ-ბარძაყის სახსრის მქონე, ჯდომით დაბადებული ტყუპებისა და ღლენაკლული და შთამომავლობით ორთოპედიული დაავადების მქონე ბავშვებისათვის.

მშობლებო, ნუ გაიმეტებთ შვილებს ინვალიდობისათვის!

**მაია მიქელაძე**



### „საქართველოს ქალის“ სიგნალის შემდეგ

## „უპასუხისმგებლობა თუ დაუდევრობა“

ჩვენი ჟურნალის 1982 წლის თებერვლის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა კრიტიკული წერილი. ამის გამო საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ნ. შარაშენიძემ რედაქციას აცნობა: შემოწმებით დადგინდა, რომ ქ. თბილისში სარეცხის დასაუთოებელი საკეცი დაფა მხოლოდ სამეურნეო საქონლის ვაჭრობის № 31, № 62 და № 25 მაღაზიებს ჰქონდათ გასაყიდად.

რესპუბლიკური საბითუმე საცალო გაერთიანება „ავეჯის“ № 1 და № 2 სახლებს გასაყიდად ჰქონდათ ერთი სახის სამზარეულოს კარადა და ერთი სახის სამზარეულოს ანაკრები.

სისტემატურად იყიდება პლასტმასის სარეცხის სარჭები. რაც შეეხება სარეცხის ხის სარჭებს, შესაბამისი საწარმოები ამ საქონელს ვერ გვაწვდიან გამოყოფილი ფონდის დონეზე (1981 წლის ფონდით 8,0 მილიონი ცალი სარჭი უნდა შემოეზიდათ მაღაზიებში, ნამდვილად კი არცერთი ცალი არ შემოუზიდავთ). ამ საქონლით ვაჭრობაში შეფერხებებია. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ უკვე იზრუნა სარეცხის დასაუთოებელი საკეცი დაფებითა და სამზარეულო კარადებით თბილისში მოვაჭრე მაღაზიების ქსელის გასაფართოებლად.

1982 წლის თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა რეპლიკა „რატომ არის ასე“, რომელშიც გაკრიტიკებული იყო უხარისხოდ დამზადებული კარამელი. წერილთან დაკავშირებით საწარმოო გაერთიანების „თბილკონდიტრის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ვ. ცაგარეიშვილმა რედაქციას აცნობა: საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერის“ ხელმძღვანელობამ იმსჯელა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების თაობაზე და დასახა კონკრეტული ღონისძიებები. კარამელის საამქროს ლაბორატორიისა და ტექნიკური კონტროლის მუშაკებს დაევალათ გაზარდონ მოთხოვნილება თითოეული მუშისადმი, ყურადღება მიაქციონ ტექნოლოგიური პროცესების დაცვას; კარამელის ტექნოლოგიის რეჟიმის სრული დაცვისათვის ამ საქმის შემსრულებლებს ჩაუტარდათ მეცადინეობა ტექნოლოგიაში. დღეისათვის მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორებულა და კვლავაც მიმდინარეობს სამუშაოები ახალი ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის.

# მოძმე აზერბაიჯანის სამზარეულო

## ყაურმა-ბოზბაში

დაჭერით ცხვრის ხორცი 30-35 გრამიან ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი, პილპილი და ცხვრის ქონსა და ერბოში ხახვთან ერთად მოხრაკეთ. შემდეგ დაუმატეთ მდუღარე ბულიონი ან წყალი, გაფცქვნილი და დაჭრილი კარტოფილი, წინასწარ მოხარშული და გაფცქვნილი წაბლი, გარეცხილი ალუჩა და მოხარშეთ. სუფრაზე მიტანის წინ მოაყარეთ პილპილი, დაჭრილი მწვანილი და მოასხით ზაფრანის (шафран) ნაყენი. თუ კერძს ზაფხულში ამზადებთ შეიძლება ახალი გაფცქვნილი პამიდორის დამატება. ასეთ შემთხვევაში ალუჩა და ზაფრანა საჭირო არ არის.

ყაურმა-ბოზბაშის დასამზადებლად საჭიროა: 162 გრამი ცხვრის ხორცი, 15 გრ. დუმა, 70 გრ. ხახვი, 100 გრ. კარტოფილი, 50 გრ. წაბლი, 20 გრ. ალუჩა, 10 გრ. ქინძი, 0,1 გრ. ზაფრანა, მარილი და პილპილი.

## ფითი

ამ კერძის ყოველი ულუფა ცალკე თიხის ქურჭელში მზადდება (შეიძლება უჟანგავი ლითონის პატარა ქვაბების (0,8 ლ) გამოყენებაც).

აიღეთ მკერდის, კისრის, წვივის ან ბეჭის 2-3 ნაჭერი (თითოეული დაახლოებით 55-80 გრ); გადაარჩიეთ მუხუდო და დაახლოებით 4-5 საათს დაალბეთ; შემდეგ ხორცი და მუხუდო მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ცივი წყალი, ისე რომ საერთო მოცულობა 600 გრამამდე მივიდეს, შედგით დაბალ ცეცხლზე და ნელი-ნელ ხარშეთ. პერიოდულად ქაფქირით მოქაფეთ. ვიდრე ხარშვას დაიმთავრებდეს, 30 წუთით ადრე დაუმატეთ საშუალო ზომის მთელ-მთელი გაფცქვნილი კარტოფილი, გარეცხილი ალუჩა და მარილი. როცა ბულიონი წამოდუღდება, დაუმატეთ ოთხკუთხა ნაჭრებად დაჭრილი ხახვი, ხარშვის დამთავრებამდე 10-15 წუთით ადრე ჩადეთ წვრილად დაჭრილი დუმა, მარილი და საკმაზი.

ცალკე მზადდება ზაფრანის ნაყენი: 120 გრამ წყალში ჩადეთ 1 გრამი ზაფრანა, და როგორც ჩაი, ისე წამოადუღეთ, ორ ულუფა ფითის უნდა დაემატოს ერთი სუფრის კოვზი ზაფრანის ნაყენი.

ბოლოს, ქვაბს ლუმელის ნაპირზე მიდგამთ და დუღილს იქ დაუმთავრებთ. ბულიონი უნდა იყო დამჭვირვალე, — მოყვითალო და არომატული.

სუფრაზე მიტანის წინ უნდა მოაყაროთ წვრილად დაფხვნილი გამხმარი პიტნა-. როგორც წესი, ფითი იმავე ჭურჭლით უნდა მიიტანონ მაგიდაზე, რომელშიც მოხარშეთ, გვერდზე მოუდგით სუფთა თეფში. სუფრაზე უნდა მიიტანოთ, აგრეთვე, გაფცქვნილი ხახვი.

ზაფხულსა და სეზონების მიხედვით ფითის შეიძლება დაემატოს წაბლი, კომში და ახალი პამიდორი. მაშინ ალუჩა და ზაფრანა საჭირო აღარ არის.

ფითის დასამზადებლად საჭიროა ცხვრის ხორცი — 163 გრ, მუხუდო (ხმელი) 20 გრ, დუმა 20 გრ, თავი ხახვი — 15 გრ, კარტოფილი — 150 გრ, ახალი ალუჩა 20 გრ; (გამხმარი 10 გრ) ან პამიდორი 50 გრ; გამხმარი პიტნა 1,0 გრ; მარილი და პილპილი გემოვნებით.

## ალმა დოლმასი („ვაშლის ტოლმა")

გადაარჩიეთ საშუალო ზომის და მრგვალი ფორმის ვაშლი, ამოაცალეთ თესლი და ნახევრად ამოღრუტნეთ (ამოაცალეთ გული). რბილი ცხვრის ხორცი ხახვთან ერთად ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ, უყავით პილპილი, მარილი და ცხიმში მოხრაკეთ. როცა ფარში შეგრილდება ტაფაზე დაუმატეთ ცოტა წყალი, შაქარი, ძმარი და დაბალ ცეცხლზე მოშუშეთ. შემდეგ უკვე გამზადებული — გულამოცლილი ვაშლი ამოავსეთ ამ ფარშით, ცოტა წყალი მოაშხურეთ და დაუმთავრეთ შუშვა. სუფრაზე მიტანის წინ „ალმა დოლმასს" ზემოდან მოხრაკული ხახვი მოაწყვეთ. თუ ცხვრის ხორცი არა გაქვთ, შეგიძლიათ ძროხის ხორციც გამოიყენოთ.

ამ კერძის დასამზადებლად საჭიროა: ცხვრის ხორცი — 60 გრ; ერბო — 10 გრ, ვაშლი — 200 გრ; ხახვი 15 გრ, შაქარი — 5 გრ, ძმარი — 10 გრ, ზაფრანი 0,05; მზა კერძის წონა 210 გრამია.

## შარბათი („შერბეთ")

აადუღეთ წყალი და გააგრილეთ. უყავით შაქარი, რეჰანისა და პიტნის თესლი და 2-3 საათს გააჩერეთ. შარბათს მიირთმევენ სხვადასხვაგვარ ფლავთან.

დასამზადებლად საჭიროა: 0,85 ლიტრი წყალი, 150 გრ. შაქარი, რეჰანისა და პიტნის თესლი — 2 გრ.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრები — „ნატვრა" (ფრაგმენტი) და „ქალი ფასკუნჯით".

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ.მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 6.05.82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11 6.82 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 1/3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
ტირაჟი 126.100. შეკვ. 1183 უე 06314

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს. ჯანიაშვილის ფოტო

უდაბნო! ტყუილად არ დაურქმევიათ ეს სახელი ამ უკიდეგანო ველებისათვის. რამდენი ხანია, საუკუნეების ტოლი დროა, რაც არ მორწყულა და არ გაუხარია ამ ნოყიერ შავ მიწას. ტყე იყო და გაქრა, ტბა იყო და დაშრა, სიცოცხლე დაჰკარგა კახეთის ამ ერთდროს ბარაქიანმა მხარემ!

მიწას სიცოცხლე უნდა დაუბრუნდეს! ეს ჩაიდეს გულში მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ენთუზიასტებმა და მწყობრში ჩააყენეს უდაბნოს სარწყავი სისტემის პირველი რიგი. იგრიალა წყალმა. 750 ჰექტარმა იგემა მისი გემო. ახლო მომავალში 4 200 ჰექტარი მოირწყვება და აყვავდება, წალკოტად გადაიქცევა ეს მზისგან შეწუხებული არე-მარე. პური, ვაზი, ხეხილი, ბოსტანი — არაფერი არ დააკლდება იმ 600 კომლს, რომელიც ამ მიწაზე ღონიერ სოფელს დაამკვიდრებს. და თუ დღეს უდაბნოს კონსტიტუციის სახელობის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას ხუთი ფერმა და 70 ათასი სული ცხვარი ჰყავს, ხალხმრავალი სოფელი მას მრავალ მეურნეს შემატებს.

მაისის ერთ მშვენიერ დილას იზეიმა რესპუბლიკამ სათავე არხის გახსნა და იმ ადგილზე სიმბოლური ძეგლის „სიცოცხლის სვეტის“ აღმართვა.



ნ 35/1120
ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 30 კაპ. ინდექსი 76178